პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
5 ივნისი
1940 წ.
№ 128 (5829)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა ფორთოხალი (მოწინავე)
მისალმებანი ამხანაგ ი. სტალინს და ამხანაგ ლ. ბერიას (1-ლი გვ.)
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი (1-ლი გვ.)
მისალმებანი „კომუნისტს“ (მე-2 გვ.)
გაზეთ „კომუნისტის“ 20 წლისთავი („პრავდა“—მე-2 გვ.)
მაიორი კ. პეტროვი — მცურავი ტანკები (მე-2 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
ო. ჰენრი (გარდაცვალებიდან 30 წლისთავისათვის.—მე-3 გვერდი).
უცხოეთში:
ინგლისის მთავრობის საგანგებო ზომები (მე-2 გვ.)
იდენის გამოსვლა (მე-2 გვ.)
ომი დასავლეთ ევროპაში (მე-4 გვ.)
ამერიკის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა (მე-4 გვ.)
საომარი მზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში (მე-4 გვ.)
პარიზის რაიონის ბომბარდირება (მე-4 გვ.)

საბჭოთა ფორთოხალი

ციტრუსოვან კულტურებს შორის ფორთოხალს ერთეთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ფორთოხლის ნაყოფი საკმაოდ დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა სახის ვიტამინებს, შაქრებს, ლიმონის სიმჟავეს, აზოტოვან ნივთიერებებს, ეთეროვან ზეთს, ცხიმს და ადამიანისათვის საჭირო ბევრ სხვა ძვირფას ნივთიერებას. ფორთოხალი გარდა ნაყოფისა, იძლევა ციტრუსოვან წყალს და ესენციას, რომელსაც ყვავილისაგან ხდიან და სხვ.

ფორთოხალი, ისევე როგორც ჩაი, ლიმონი, მანდარინი, გრეიპფრუტი და სხვა ძვირფასი კულტურები „...ერთი მხრივ სავსებით აუცილებელია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის, რომელნიც გიგანტური ნაბიჯებით მიემართებიან შეძლებული ცხოვრების მწვერვალებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის ამაღლების მხრივ მას კოლოსალური ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქართველოს კოლმეურნეთათვის, რომელნიც მისდევენ ციტრუსების გაშენებას“ (ლ. ბერია).

ჩვენში საუკეთესო პირობები არსებობს ფორთოხლის განვითარებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ აჭარაში ფორთოხლის ცალკეული ხეები წელიწადში 7-8 ათას ცალ ნაყოფს იძლევიან. ფორთოხლის ფართოდ განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია აგრეთვე აფხაზეთში, გურიაში, სამეგრელოში. აქ დიდი რაოდენობით შეიძლება გაშენდეს ფორთოხლის ისეთი ძვირფასი ჯიშები, როგორიცაა „ვაშინგტონ-ნაველი“, „კოროლიოკი“ და სხვ.

1934 წელს საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ამხ. **ლ. ბერიამ** თავის საანგარიშო მოხსენებაში დასახა ამოცანა „ლიმონი, მანდარინი და ფორთოხალი გაჩნდეს საბჭოთა ქვეყნის მუშის მაგიდაზე“, 1935 წლის 5 ნოემბერს კი სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანეს ისტორიული მნიშვნელობის დადგენილება 1940 წლის დასასრულისათვის საქართველოს შავი-ზღვის სანაპიროზე ციტრუსების ფართობის 20 ათას ჰექტარამდე აყვანის, მათ შორის ფორთოხლის 1.000 ჰექტარზე გაშენების შესახებ. ეს დავალება ორდენოსანი საქართველოს სუბტროპიკულმა რაიონებმა ვადაზე ადრე დიდი წარმატებით შეასრულეს, ციტრუსები უკვე გაშენებულია 24.298 ჰექტარზე, მათ შორის ფორთოხალი — 1051 ჰექტარზე. წელს ფორთოხლის გაშენების გეგმა წარმატებით შეასრულა ყველა რაიონმა, გარდა წალენჯიხისა. ნაცვლად 442 ჰექტარისა საქართველოში ფორთოხალი დარგულ იქნა 487 ჰექტარზე—დავალების 110,2 პროცენტი.

პარტიამ და მთავრობამ შექმნეს ყველა პირობა ციტრუსოვანი მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. კოლმეურნეები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ როგორც სხვა ციტრუსების, ისე ფორთოხლის დიდ მნიშვნელობაში. ციტრუსები გადაიქცა საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობისა და კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეძლებულობის დაუშრეტელ წყაროდ. ამიტომ არის, რომ სუბტროპიკულ რაიონებში განსაკუთრებული სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის დადგენილებამ 1944 წლისათვის ციტრუსების ფართობის 40.000 ჰექტარამდე გადიდების, მათ შორის ფორთოხლის ფართობის 7.500 ჰექტარამდე აყვანის შესახებ. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა ამ ახალი დადგენილებით უახლოესი 4 წლის განმავლობაში ციტრუსების ფართობი საერთოდ თითქმის ერთი-ორად დიდდება, ფორთოხალი ამავე დროის განმავლობაში საქართველოში უნდა გაშენდეს 7,5-ჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად არის გაშენებული.

მაგრამ ფორთოხლის განვითარებისათვის საჭიროა სანერგე მეურნეობის დიდი მასშტაბით შექმნა. საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ამხ. **კ. ჩარკვიანმა** თავის საანგარიშო მოხსენებაში, ფართოდ შეჩერდა რა ფორთოხლის შემდგომი განვითარების აუცილებლობაზე, ამოცანად დაგვისახა: ნაცვლად თურქეთის ფორთოხლისა, რომელიც ბევრად ჩამოუვარდება მანდარინსაც კი, გავაშენოთ ძვირფასი ჯიშები— „ვაშინგტონ-ნაველი“ და „კოროლიოკი“ (აღნიშნული ჯიშების სადედე ხეების რაოდენობა ჩვენში 18.500-ს აღწევს, ხოლო 1941 წლისათვის გასაშენებელი ნამყენისა—6.000-ს). ამ მიზნით სანერგე მეურნეობის შექმნისათვის ჩვენ უნდა შევურიგდეთ ფორთოხლის არსებულ ხეებზე მოსავლიანობის შემცირებას და მყნობისათვის ავიღოთ მათგან კალმების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

ფორთოხლის გაშენების 1941 — 1944 წწ. გეგმების ვადაზე, გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესასრულებლად საჭიროა მთლიანად გამოვიყენოთ ის დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, რაც გამოიწვიეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 25 აპრილის ისტორიულმა დადგენილებამ და სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილმა სოცშეჯიბრებამ.

ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა არა სიტყვით, არამედ საქმით ახლავე უნდა მოჰკიდონ ხელი ჩვენში ფორთოხლის შემდგომ ფართოდ განვითარებას. პლანტაციების მოწყობისათვის საჭიროა პირველ რიგში ციტრუსების სანერგეები გავხადოთ განსაკუთრებული ყურადღებისა და ზრუნვის ობიექტად პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების მხრივ. სანიმუშოდ მოვუაროთ ფორთოხლის როგორც პლანტაციებს და ცალკეულ სადედე ხეებს, ისე 1941 წლისათვის გასაშენებლად გამოყვანილ ნერგს, უზრუნველვყოთ საზაფხულო მყნობისათვის საკმარისი რაოდენობით ღონიერი და საღი საძირე მასალის მიღება. სანერგეებსა და პლანტაციებში დროულად შევიტანოთ სასუქები, ჩავატაროთ მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლა. გარდა ამისა, რაც შეიძლება ზუსტად შევარჩიოთ და მოვამზადოთ ფართობები ფორთოხლის მომავალ წლებში გასაშენებლად. ჩავატაროთ ამოძირკვა, მოვაწყოთ დრენაჟები, შევუდგეთ ამ ნაკვეთებზე ქარსაცავი ზოლების მოწყობას და წინა კულტურების თესვას ნიადაგის ხარისხის გასაუმჯობესებლად და გასანოყიერებლად.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს ყველა საშუალება გააჩნიათ არა მარტო შეასრულონ, არამედ გადაჭარბებით შეასრულონ ფორთოხლის 7.500 ჰექტარზე გაშენების გეგმა, მიაწოდონ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა მაგიდას მეტი მაღალხარისხოვანი მშობლიური ფორთოხალი.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში

1. 4 ივნისს ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა ლე რუჟეტელმა ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მოლოტოვი და აუწყა მას, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს შესცვალოს ბ-ნი სიიდსი სსრ კავშირში ინგლისის ელჩის პოსტზე ბ-ნ კრიპსით, ჩვეულებრივი ელჩის უფლებებით რაიმე საგანგებო ფუნქციების გარეშე.

ამხ. მოლოტოვმა უპასუხა, რომ საბჭოთა მთავრობას საწინააღმდეგო არაფერი აქვს.

2. 4 ივნისს საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულმა ბ-ნმა პაიარმა ინახულა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. მოლოტოვი და აუწყა მას, რომ საფრანგეთის მთავრობას სურვილი აქვს შესცვალოს ბ-ნი ნაჯიარი სსრ კავშირში საფრანგეთის ელჩის პოსტზე ბ-ნ ლაბონით.

ამხ. მოლოტოვმა უპასუხა, არ ვფიქრობ, რომ საბჭოთა მთავრობას რაიმე საწინააღმდეგო ექნეს, ხოლო მის პასუხს 5 ივნისს გაუწყებთო.

წითელი არმიისა და სანაპირო დაცვის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის, უფშემადგენლობის ოჯახის წევრთა და ჰოსპიტლების მუშაკთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა. წ. 3 ივნისის ბრძანებულებით მთავრობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 372 კაცი—წითელი არმიისა და სანაპირო დაცვის უფროსთა და რიგითი შემადგენლობა, უფშემადგენლობის ოჯახის წევრები და ჰოსპიტლების მუშაკები.

დაჯილდოებულია:

ლენინის ორდენით — 1 კაცი,
წითელი დროშის ორდენით—69 კაცი,
წითელი ვარსკვლავის ორდენით — 109 კაცი,
მედლით „მამაცობისათვის“—134 კაცი,
მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ — 59 კაცი.

ყველა დაჯილდოებულის სახელობითი სია ქვეყნდება გაზეთ „კრასნაია ზვეზდაში“. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია გაიხსნება ქ. თბილისში გრიბოედოვის სახელობის თეატრში ა. წ. 7 ივნისს საღამოს 7 საათზე.

○

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების აღრიცხვა 5 და 6 ივნისს იწარმოებს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობაში მე-4, 5 და 12 ოთახებში დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე, ხოლო 7 ივნისს იქვე დღის 4 საათამდე, ნაშუადღევის 6 საათიდან კი გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ერთი იმ პავილიონთაგანი, რომელსაც ყველაზე მეტი ხალხი ათვალიერებს — პავილიონი „მექანიზაცია“ 2 ივნისს უახლესი საბჭოთა მანქანებით შეივსო. ავტოსატრაქტორო მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა (ნატი) გამოგზავნა პირველი საცდელი ნიმუშები ტრაქტორებისა, რომლებიც გაკეთებულია ამ ოღეებში და აქვთ ახალი კონსტრუქციის გაზგენერატორული დანადგარები.

დიდ ინტერესს იწვევს პავილიონის მარჯვენა მოედანზე დადგმული მუხლუხა ტრაქტორი „ჩტზ“, რომელიც მუშაობს ხის სათბობით. გაზგენერატორული დანადგარი „ნატი-გ/34“, რომელიც დამონტაჟებულია ტრაქტორზე, ძრავის მაქსიმალური სიმძლავრისას 37 კილოგრამ ხის ჩილიკებს ხარჯავს საათში. ტრაქტორს შეუძლია იმუშაოს სათბობის შეუმატებლად საათნახევარ-ორ საათს.

არანაკლები ყურადღებით სარგებლობს მუხლუხა ტრაქტორი „ჩტზ-ს 60“ გაზბალონის დანადგარით. აქ სათბობად ხმარობენ გათხევადებულ გაზს — ბუტანპროპანის ლიგროინს. მანქანას საწვავი მასალის ერთი ჩასხმა 11 საათის მუშაობისათვის ყოფნის. საათში იგი 340 გრამ გაზს ხარჯავს.

მესამე მანქანა არის ბორბლიანი ტრაქტორი „ხტზ“ „ნატის“ კონსტრუქციის ხის გაზგენერატორული დანადგარით. ეს დანადგარი ფართოდ იქნება გამოყენებული ბორბლიანი ტრაქტორების არსებული პარკის გაზგენერატორულ სათბობზე გადასაყვანად. (საკდესი).

გამოფენის მონაწილენი დედაქალაქს ეცნობიან

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეები და ექსკურსანტები დიდ ინტერესს იჩენენ დედაქალაქის მშენებლობისა და კულტურისადმი. მოსკოვის საქალაქო აღმასკომის ცენტრალური საექსკურსიო ბიურო მათთვის ყოველდღიურად აწყობს მასობრივ ექსკურსიებს.

15 მაისიდან დედაქალაქის მუზეუმი დაახლოებით კოლმეურნეთა 500 ჯგუფმა დაათვალიერა. 5 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა საავტობუსო და საქვეითო ექსკურსიებში, რომლებიც ქალაქში მოეწყო თემაზე „მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინური გეგმა“. დაახლოებით 7 ათასმა კაცმა იმოგზაურა მოსკოვ-ვოლგის არხით. (საკდესი).

სატრიკოტაჟო ნაწარმი საშემოდგომო-საზამთრო სეზონისათვის

მოსკოვი, 3 ივნისი (საკდესი). სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სატრიკოტაჟო საწარმოები მნიშვნელოვნად ადიდებენ პროდუქციის გამოშვებას საშემოდგომო-საზამთრო სეზონისათვის. ფართო ბაზარი მიიღებს წინდების, სატრიკოტაჟო თეთრეულის, სვიტრების, კაბების, ხალათების, ხელთათმანებისა და სხვა ნაწარმის მრავალფეროვან ასორტიმენტს. მიმდინარე წლის მესამე და მეოთხე კვარტალში 52 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია იქნება გამოშვებული 1939 წლის მეორე ნახევარში გამოშვებული პროდუქციის გადამეტებით. სატრიკოტაჟო საწარმოები მოგვცემენ 236 მილიონ წყვილ წინდას—43 მილიონ წყვილით მეტს. დიდდება წარმოება სატრიკოტაჟო თეთრეულისა (7 მილიონი ცალით) და ზედსაცმელი ტრიკოტაჟისა (თითქმის მილიონი ცალით).

ლენინგრადის ფაბრიკა „კრასნოე ზნამიაში“ და თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატში წლის მეორე ნახევარში მუშაობას დაიწყებენ პირველი საბჭოთა კოტონ-მანქანები, რომლებიც გათვალისწინებულია ქალის მაღალხარისხოვანი წინდის საქსოვად.

დაიხურა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ალკკ პირველი ყრილობა

პეტროზავოდსკი, 3 ივნისი (საკდესი). დღეს დაიხურა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის კომკავშირის პირველი ყრილობა. ყრილობამ კომკავშირის კარელიის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად, ხოლო პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემადგენლობაში არჩეულია 51 კაცი.

ყრილობამ უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმება ამხანაგ **სტალინს**.

○

შესდგა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ანდროპოვი.

ნათესთა მდგომარეობა

მოსკოვი, 3 ივნისი (საკდესი). მაისის დამლევს და ივნისის დამდეგს საბჭოთა კავშირის ევროპის ნაწილის რაიონებში კარგი წვიმები მოვიდა. ნალექთა რაოდენობა ალაგ-ალაგ 30-50 მილიმეტრს აღწევდა, ხოლო ამიერკავკასიის ცალკეულ რაიონებში — 60-70 მილიმეტრს. წვიმა მოვიდა აგრეთვე ციმბირში, ყაზახეთში, ყირგიზეთში. ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში საშემოდგომო ნათესი პურეული მწიფდება. ცენტრალურ ნიადაგიან ოლქებში, უკრაინაში, პოვოლჟიეში ჭვავი თავთავს იკეთებს, ხოლო სამხრეთ რაიონებში — ჰყვავის. ჭვავის ნათესთა მდგომარეობა კარგი და დამაკმაყოფილებელია. სამხრეთში კარგ მდგომარეობაშია ხორბლის ნათესი. კავკასიასა და ყირიმში ხორბალი აყვავილდა. შუა აზიის რესპუბლიკებსა და ამიერკავკასიაში საშემოდგომო ხორბალი დაიღომდა და ადგილ-ადგილ დაბაზდა. აქ ქერსა მკიან, მწიფდება ხორბალი. სამხრეთსა და პოვოლჟიეში საგაზაფხულო კულტურები სწრაფად იზრდება.

უკანასკნელი ცნობები

ომი დასავლეთ ევროპაში

მოკავშირეთა ცნობები

ლონდონი, 4 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 2 ივნისს დიუნკერკის რაიონში გერმანიის ავიაცია ცდილობდა ხელი შეეშალა მოკავშირეთა ჯარების ევაკუაციისათვის. მიუხედავად ამისა, ევაკუაცია გრძელდებოდა მზარდი ტემპებით. გერმანიის საჰაერო ძალებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

გუშინ, საღამოს, ოფიციალურად იუწყებოდნენ, რომ დიუნკერკში გემებზე ჯარების ჩასხმა ხდებოდა მტრის ავიაციის, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელ ცეცხლქვეშ. ჯარების ევაკუაციაში მონაწილეობდა ინგლისის 222 სამხედრო ხომალდი და 565 პატარა გემი, აგრეთვე საფრანგეთის მრავალი სამხედრო ხომალდი და სავაჭრო გემი. ცნობაში აღნიშნულია, რომ „ზარალი, რომელიც ამ უდიდესი ოპერაციის დროს მოგვივიდა, შედარებით უმნიშვნელო იყო. ოპერაციებში საერთოდ მონაწილე 170 პატარა სამხედრო გემიდან დავკარგეთ 24“.

ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 2 ივნისს ღამით ინგლისის ავიაციამ ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში ყუმბარები დაუშინა რკინიგზის კვანძებს, შემრჩევ სადგურებს, მატარებლებს, ხიდებსა და საქონლის საწყობებს. აახენის მახლობლად მან ტყვიამფრქვევები დაუშინა მოწინააღმდეგის სატრანსპორტო კოლონას. ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ჩრდილოეთ ნორვეგიაში ჩამოგდებული იქნა მტრის სულ ცოტა 24 თვითმფრინავი. ბევრი დაზიანებულ იქნა.

○

პარიზი, 4 ივნისი (საკდესი). გუშინ, საღამოს, ოფიციალურად იუწყებოდნენ: „მტერს კვლავ გააფთრებული იერიში მოჰქონდა ჩვენს პოზიციებზე დიუნკერკთან, მაგრამ იგი ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა“.

მოწინააღმდეგე გამაგრდა ენის მარჯვენა ნაპირზე და ავიწროვებს ჩვენს ჯარს, რომელიც დაბანაკებულია მდინარე საარის დასავლეთით.

2 ივნისს ღამით ჩვენმა ყუმბარმშენმა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მრავალ აეროდრომზე და გზებზე.

გუშინ გერმანიის ყუმბარმშენების დიდმა ჯგუფმა ავიაგამანადგურებელთა დახმარებით იერიში მოიტანა პარიზსა და პარიზის რაიონზე. გერმანიის თვითმფრინავებს სროლა აუტეხეს ჩვენმა ავიაგამანადგურებელმა ავიაციამ და საზენიტო არტილერიამ, რომლებმაც მათ დიდი ზარალი მიაყენეს. მიღებული ცნობებით, ჩამოგდებულ იქნა მტრის 17 თვითმფრინავი“.

გერმანიის ცნობა გერმანიის ჯარის მიერ წამოყვანილი ტყვეების რაოდენობის შესახებ

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). დღეს პროპაგანდის სამინისტროში შემდგარ პრეს-კონფერენციაზე განაცხადეს, რომ იმ ტყვეების საერთო რიცხვი, რომლებიც გერმანიის ჯარმა ხელთ იგდო ბელგიასა, ჰოლანდიასა და ჩრდილოეთ საფრანგეთში საომარი მოქმედების პერიოდში, შეადგენს 1.200 ათას კაცს; აქედან ჰოლანდიელია 400 ათასი, ბელგიელი — 500 ათასი, ფრანგი და ინგლისელი — 300 ათასი.

ჰავასის სააგენტო პარიზის ბომბარდირების შესახებ

პარიზი, 4 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტოს აზრით, „საჰაერო თავდასხმები პარიზზე, რაც გუშინ მოხდა, იყო ყუმბარმშენების ყველაზე დიდი ოპერაცია, როგორიც კი აქამდე მოწინააღმდეგეს ჩაუტარებია. გერმანელები იყენებდნენ მძიმე ყუმბარმშენებს, რომლებსაც შეეძლოთ დიდძალი ფეთქებადი ნივთიერების გადაზიდვა, და, გათხრილი ორმოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბომბარდირების დროს გამოყენებული იყო ელექტრონული ყუმბარები. ბევრ თვითმფრინავს ჰქონდა სპეციალური დავალება ყუმბარები დაეშინა აეროდრომებისა და ავზლებისათვის. თვითმფრინავები დიდ სიმაღლეზე მიფრინავდნენ და ვერ ჰბედავდნენ თავქვე ფრენით ბომბარდირებას“.

იტალიის პოზიცია

ლონდონი, 4 ივნისი (საკდესი). აქ დარწმუნებული არიან, რომ იტალია უახლოეს დროში ომში ჩაებმება. პრესა აღნიშნავს, რომ ამ ნაბიჯისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრება იტალიის მთავრობას. „ინგლისი ძალას ძალით უპასუხებს“.

ინგლისის რომის საელჩო მზად არის წასასვლელად. მოკავშირეთა ფლოტი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მნიშვნელოვნად გაძლიერებულია. შემუშავებულია კაიროს, ალექსანდრიის, პორტ-საიდისა და სუეცის დაცვის გეგმა.

სტოკჰოლმი, 4 ივნისი (საკდესი). შვედური გაზეთების კორესპონდენტები, რომლებიც ლონდონსა, პარიზსა, რომსა და ბერლინში იმყოფებიან, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ იტალიას მუდმივი კონტაქტი აქვს გერმანიასა და ესპანეთთან. გაზეთ „დაგენს ნიუხეტერის“ ლონდონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ ესპანეთის სპეციალური დელეგაცია ჩავიდა რომში „რაღაც მოლაპარაკების“ საწარმოებლად. გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის ბერლინელი ელჩი იწვია ჰიტლერის მთავარ ბანაკს და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მასთან. „სვენსკა დაგბლადეტის“ ბერლინელი კორესპონდენტი ცნობაში სათაურით „ომი ხმელთაშუა ზღვაში ფაქტიურად დაიწყო“ გადაკვრით შენიშნავს, რომ სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების უკანასკნელი ბომბარდირება იტალიელთა დახმარებით ხდებოდა.

რეიტერის სააგენტო ნორვეგიაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ლონდონი, 4 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს განცხადების თანახმად, გერმანიის 17 თვითმფრინავმა 2 ივნისს ძლიერად დაუშინა ყუმბარები ნარვიკს. ამის შედეგად მრავალ ადგილას გაჩნდა ხანძარი, რომელმაც მოსპო ქალაქის დიდი ნაწილი.

იტალიის საომარი მზადება

ნიუ-იორკი, 4 ივნისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო რომიდან იუწყება, რომის ღია ქალაქად გამოცხადების მიზნით ხელისუფლებამ მოახდინა იქიდან სამხედრო ყაზარმების ევაკუაცია.

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 4 ივნისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება: „დიუნკერკისათვის ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. ჩვენი ჯარი, მიუხედავად მტრის გააფთრებული წინააღმდეგობისა, შეიჭრა ქალაქში და დაიკავა ლუის ფორტი. ქუჩებში გრძელდება ბრძოლა საფრანგეთის ჯარის ნაწილებთან, რომლებსაც დაკისრებული აქვთ უზრუნველჰყონ ინგლისელ ჯარისკაცთა ჩასხმა გემებში. გერმანიის ავიაციის დიდი შენაერთები 3 ივნისს მოულოდნელად თავს დაესხნენ საფრანგეთის ავიაციის ბაზას პარიზის მიდამოებში. გერმანიის ავიაციამ ჩააჩუმა მტრის საჰაერო თავდაცვის ქვემეხები და დიდი და პატარა სიმაღლიდან ყუმბარები დაუშინა აეროდრომებს და საფრანგეთის საავიაციო მრეწველობის საწარმოებს. თვითმფრინავებიდან ჩანდა აფეთქება და ხანძარი. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა 104 თვითმფრინავი, ანგარებში განადგურებულ იქნა 300-დან 400-მდე თვითმფრინავი. 3 ივნისს საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო 21 თვითმფრინავი. გერმანიის ავიაციამ დაჰკარგა 9 თვითმფრინავი. 3 ივნისს ღამით მოწინააღმდეგე კვლავ თავს ესხმოდა და ყუმბარებს უშენდა ჰოლანდიას, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიას. ბომბარდირებით გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა. ამასთან როტერდამის მახლობლად და დასავლეთ გერმანიაში ჩამოგდებულ იქნა სამი თვითმფრინავი.

მოსკოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი

ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

თბილისის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის საქალაქო კრება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის“ ოცი წლისთავისადმი, მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ— მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელს, პროგრესიული კაცობრიობის გენიალურ ბელადს.

თქვენ, ამხანაგო **სტალინ**, ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, საფუძველი ჩაუყარეთ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკურ არალეგალურ ბეჭდვითს სიტყვას, უშუალოდ ხელმძღვანელობდით და წარმართავდით მთელ მის მუშაობას.

თქვენ, ამხანაგო **სტალინ, ლენინთან** ერთად ათეული წლების განმავლობაში ნერგავდით ბოლშევიკური პრესის მუშაკებში მაღალ იდეურობას და ლენინურ-სტალინურ შეურიგებლობას მუშათა კლასის მტრებთან ბრძოლაში.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები ამაყობენ იმის შეგნებით, რომ ისინი სწავლობენ და იზრდებიან გაზეთ „ბრძოლის“ სახელოვან სტალინურ ტრადიციებზე.

„კომუნისტს“ თავისი არსებობის ორი ათეული წლის მანძილზე მაღლა ეჭირა **ლენინ-სტალინის** დიადი დროშა, გაბედულად რაზმავდა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა ფართო მასებს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აღმავლობისათვის საბრძოლველად.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ კიდევ უფრო ავამაღლებთ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი მოძღვრების პროპაგანდას, შეუნელებლად ვიბრძოლებთ მასების კომუნისტურად აღზრდისათვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ დავივიწყებთ თქვენს მითითებას, რომ „ბეჭდვითი სიტყვა უნდა იზრდებოდეს არა დღეობით, არამედ ყოველსაათობით,—ის ჩვენი პარტიის ყველაზე ბასრი და ყველაზე მძლავრი იარაღია“. მუდამ გვახსოვს რა თქვენი ბრძნული მითითებები კაპიტალისტური გარემოცვისა და საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერების შესახებ, ჩვენ დაუღალავად ვიბრძოლებთ საბჭოთა პატრიოტიზმის უფრო ფართოდ დანერგვისათვის, ხალხთა **სტალინური** მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

გაუმარჯოს უძლეველ საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ **სტალინს**!

მოსკოვი

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი

ამხანაგ ლ. პ. ბერიას

თბილისის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად, მიძღვნილი საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს—გაზეთ „კომუნისტის“ ოცი წლისთავისადმი, მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობდით რიგი წლების განმავლობაში, დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კულტურის აყვავების საქმეში. თქვენი ხელმძღვანელობით აღიზარდნენ საქართველოს პრესის მუშაკთა კადრები ბოლშევიკური პრინციპულობის, მაღალი იდეურობის და დიდი **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით.

ჩვენ პირობას ვიძლევით კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ გაზეთის მუშაობა, უკეთესად მოვაწყოთ **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** მოძღვრების პროპაგანდა, ფართოდ ვაჩვენოთ გაზეთის ფურცლებზე მუშაობის სტალინური სტილი, რომელსაც თქვენ მთელი რიგი წლების განმავლობაში ამკვიდრებდით საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები კვლავაც მოწინავე რიგებში იქნებიან ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა და დიდი **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს და სულისჩამდგმელს, ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ **სტალინს**!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა დაზვერვას!

გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის სახელოვან ხელმძღვანელს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას**!

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პოლიგრაფიული კომბინატის „კომუნისტისათვის“ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ

დაკმაყოფილდეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და პოლიგრაფიული კომბინატის „კომუნისტის“ მუშა-მოსამსახურეთა შუამდგომლობა და პოლიგრაფიულ კომბინატს „კომუნისტს“ მიეკუთვნოს ლ. პ. ბერიას სახელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1940 წ. 3 ივნისს.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკების დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „კომუნისტის“ არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მუშაკები:

რატიანი პროკოფი კონსტანტინეს-ძე, პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე;
გვინჩიძე ალექსანდრე სერგის-ძე, რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი;
დევაძე ვლადიმერ არჩილის-ძე, ლიტერატურული მუშაკი;
აბულაძე ბიძინა ვლადიმერის-ძე, ლიტერატურისა და ხელოვნებას განყოფილების გამგე;
მერკვილაძე გიორგი ივლიანეს-ძე, საკუთარი კორესპონდენტი აფხაზეთში;
კაიტანჯიანი სტეფანე ალექსანდრეს-ძე, გამომცემლობის დირექტორი;
კვინტრაძე ნიკოლოზ მელიტონის-ძე, სტამბის დირექტორი;
ტორონჯაძე დავით ფილიმონის-ძე, ლინოტიპისტი;
კუნჭულია თევდორე სიმონის-ძე, სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის მოვალეობის ამსრულებელი;
კელენჯერიძე ანტონ კირილეს-ძე, ეკონომიური განყოფილების გამგე;
ელიაძე ალექსანდრე სიმონის-ძე, ლინოტიპისტი;
გოგოლაშვილი შალვა ევსევის-ძე, სალინოტიპო საამქროს გამგე;
ბეკურაშვილი სამსონ მიხეილის-ძე, მეტრანპაჟი;
ედიშერაშვილი გიორგი ივანეს-ძე, მეტრანპაჟი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

თბილისი, 1940 წ. 3 ივნისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის მთავრობის საგანგებო ზომები

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა მიწათმოქმედების მინისტრმა ჰადსონმა, რომელმაც განაცხადა: მთავრობამ ახალი ღონისძიებანი დასახა ინგლისის სოფლის მეურნეობის დარგში. უწინარეს ყოვლისა განზრახულია საქონლის საკვების იმპორტის მკვეთრად შემცირება იმის გამო, რომ იძულებული ვხდებით სულ უფრო-დაუფრო მეტი რაოდენობით გამოვიყენოთ სავაჭრო ფლოტი იარაღისა და საომარი მასალების გადასაზიდად. შემდეგში საკვები უმთავრესად შემოტანილი იქნება რქიანი საქონლისა და ცხვრისათვის. ამგვარად, ფერმერებმა, რომლებიც მათ მიერ მოშენებულ ღორებსა და შინაურ ფრინველს საიმპორტო საკვებით უზრუნველჰყოფდნენ, დაუყოვნებლივ უნდა შეამცირონ სულადობა, რათა მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის შეამცირონ იგი ახლანდელი ოდენობის ერთ მესამედამდე.

შემდეგ ჰადსონმა აღნიშნა: მუშახელის ნაკლებობის გამო, ინგლისის სოფლის მეურნეობა ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებაო.

„გასული წლის სექტემბრიდან, — სთქვა ჰადსონმა, — სოფლის მეურნეობამ 70 ათასი მუშა დაჰკარგა. ახლა ჩვენ უნდა შევწყვიტოთ მუშახელის გასვლა სოფლის მეურნეობიდან და დავაბრუნოთ ისინი, ვინც უკვე წავიდა. შრომის სამინისტრო ამზადებს განკარგულების გამოქვეყნებას. ამ განკარგულების თანახმად, ყველა დარგის წარმოების პატრონებს აეკრძალებათ ისეთი ხალხის მიღება სამუშაოზე, რომლებიც დღემდე სოფლის მეურნეობაში მუშაობდნენ. ამას გარდა, სოფლის მეურნეობის მუშებისათვის წესდება მინიმალური ხელფასი კვირაში 48 შილინგის რაოდენობით. შემოღებული იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მტკიცე ფასები.

მთავრობა სახავს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასადიდებლად. მიტოვებული მიწების მნიშვნელოვანი ტერიტორიები გამოყენებული იქნება დასათესად. მთავრობა მოუწოდებს ქალებს, რათა სამუშაოდ წავიდნენ სოფლის მეურნეობაში ან, უკიდურეს შემთხვევაში, მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონურ სამუშაოზე მაინც".

იდენის გამოსვლა

ლონდონი, 2 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ ინგლისის სამხედრო მინისტრმა იდენმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა; მან განაცხადა, რომ ნავსადგურებისათვის ბრძოლაში გერმანიამ დიდ სტრატეგიულ წარმატებებს მიაღწია. მოკავშირეებმა დიდძალი იარაღი და საომარი მასალა დაჰკარგეს. მაგრამ ინგლისის საექსპედიციო კორპუსის პირადი შემადგენლობის მეტი ნაწილი გადარჩენილია. „ჩვენ, — სთქვა იდენმა, — შევძელით ჩვენს ხალხთან ერთად გადმოგვეყვანა ინგლისში ათიათასობით ჩვენი მოკავშირე ფრანგები. 4 დღის წინათ იმაზე ფიქრსაც კი ვერავინ გაბედავდა, რომ მოკავშირეთა იზოლირებულ არმიებს შეუძლიათ გზის გაკაფვა სანაპიროსაკენ. გერმანიის უმაღლესი სარდლობა სიამაყით აცხადებდა, რომ მოკავშირეთა არმიები გარშემორტყმულიაო, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ აღმოჩნდა. არასისა და იპრის რაიონებში გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. ბელგიის არმიის კაპიტულაციის მიუხედავად, გერმანიის სტრატეგია უშედეგო აღმოჩნდა. ინგლისის საექსპედიციო ძალთა ოთხი მეხუთედი გადარჩენილია. ოპერაციების პერიოდში იყო ისეთი მომენტი, როდესაც ინგლისის 9 დივიზია იცავდა ფრონტს 80 მილის მანძილზე".

„ჩვენი ამოცანა, — სთქვა შემდეგ იდენმა, — სავსებით ნათელია: რაც შეიძლება მალე უნდა ავინაზღაუროთ ზარალი და მოვიგოთ ომი. ჩვენ გვჭირდება რაც შეიძლება მეტი თვითმფრინავი, მეტი ტანკი და მეტი ქვემეხები".

რეიტერის სააგენტო იტალიის პოზიციის შესახებ

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, „ლონდონში კვლავ მოდის ცნობები, რომ იტალიაში იმართება დემონსტრაციები, რომლებსაც მოკავშირეთა მიმართ მტრული ხასიათი აქვს. უკანასკნელ ხანს ლონდონის ოფიციალური წრეები არ უარჰყოფენ იმის შესაძლებლობას, რომ იტალია უახლოეს ხანს გამოვა გერმანიის მხარეზე. მაგრამ, ინგლისის მთავრობის აზრით, ინგლის-იტალიას შორის 1936 წელს დადებული შეთანხმება წარმოადგენს იმის დამაჯერებელ საბუთს, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობა და ურთიერთ ინტერესები ხმელთაშუა ზღვასა და აღმოსავლეთ აფრიკაში შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას მოგვარებული უომრად".

„იტალიის მთავრობას, — ნათქვამია შემდეგ სააგენტოს ცნობაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში საკმაო საფუძველი ჰქონდა ეფიქრა, რომ ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან განიხილონ იტალიასთან ერთად იტალიის ყველა კანონიერი პრეტენზია, მაგრამ იტალიის მთავრობას არავითარი სურვილი არ გამოუჩენია დაეწყო მოლაპარაკება ამ საკითხებზე. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანს დაიწყო მოლაპარაკება ინგლისისა და იტალიის ექსპერტებს შორის. მას შემდეგ, რაც ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი ამას წინათ რომში ჩავიდა, მტკიცე რწმენა შეიქმნა, რომ ინგლისის მთავრობა შეთანხმების გზას დაადგა. მაგრამ იტალიის მხარემ უარჰყო ეს შეთანხმება". სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ იტალიის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების შედეგად საომარი მოქმედების ასპარეზი გაფართოვდა, ამის პასუხისმგებელი იტალია იქნება.

ჯარისკაცთა მადლობა კომუნისტ დეპუტატ გალაჰერს

ლონდონი, 2 ივნისი (საკდესი). თემთა პალატის წევრმა კომუნისტმა გალაჰერმა პალესტინიდან 20 ჯარისკაცისაგან მიიღო წერილი, რომლითაც ისინი მადლობას უცხადებენ მას, რომ იგი პარლამენტში ჯარისკაცებისა და მათი ოჯახის წევრების ინტერესებს იცავს. „ჩვენ ეს-ეს არის შევიტყეთ,—სწერენ ჯარისკაცები, — თუ რა დასთმო ჩვენს მიმართ თემთა პალატამ ჩვენი სისტემატური მოთხოვნების შედეგად. ამ დათმობას ჩვენთვის, განსაკუთრებით ცოლშვილიანი ჯარისკაცებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, რომლებიც კვირაში მხოლოდ ექვსიდან რვა შილინგამდე ვიღებთ, უნდა გვეხადა პაპიროსის ბაჟი, თუ ჩვენი ნათესავები 24 ცალზე მეტ პაპიროსს გამოგვიგზავნიდნენ. თუ ჯარისკაცებს ამანათით მარტო 24 ცალი პაპიროსი მოუვიდოდათ — ისინი არაფერს არ იხდიდნენ. მაგრამ, თუ ამანათში თუნდაც ერთი პაპიროსი მეტი აღმოჩნდებოდა, მას უნდა გადაეხადა გადასახადი თითქმის ერთი შილინგის რაოდენობით". ჯარისკაცები უჩივიან, რომ წერილების საფოსტო გამოსაღები მეტისმეტად დიდია. ამასთან დაკავშირებით გალაჰერს განზრახვა აქვს დასვას საკითხი თემთა პალატაში.

გერმანიის პრესა მოკავშირეთა წინააღმდეგ იტალიაში წარმოებული კამპანიის შესახებ

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). გერმანიის პრესა იუწყება, რომ უკანასკნელ დღეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა იტალიის მოთხოვნები საფრანგეთის მიმართ.

„ფელკიშერ ბეობახტერი" აღნიშნავს, რომ უკანასკნელ კვირაში განსაკუთრებით გაძლიერდა იტალიის საომარი მზადება. ეს მზადება თავის საბოლოო ფაზაში შევიდა. გამალებით ტარდება მთელი ძალებისა და საშუალებათა მობილიზაცია ომის მიზნებისათვის.

„კელნიშე ცაიტუნგი" მოწინავე სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის პრეტენზიები შემდეგია: „ხმელთაშუა ზღვის განთავისუფლება უცხო გავლენისაგან, კორსიკის დაბრუნება, გიბრალტარის, სუეცის, მალტის, ჯიბუტის, ტუნისის და ნიცის გადაცემა იტალიისათვის".

როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გერმანიაში ჩამოვიდა იტალიის ახალი სამხედრო დელეგაცია, რომელიც იტალიის არმიის ოფიცრებისაგან შესდგება. იგი მიემგზავრება დასავლეთის ფრონტზე, სადაც უკვე იმყოფება წინათ ჩამოსული ერთი დელეგაცია.

გაზეთი „ვიქტუარი" ინგლისის დომინიონთა დახმარების შესახებ

პარიზი, 3 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ვიქტუარი" იუწყება, რომ სექტემბრიდან ინგლისის დომინიონებმა — კანადამ და ავსტრალიამ — უაღრესად ფართო დახმარების გაწევა აღუთქვეს მეტროპოლიას. მაგრამ დღემდე, — სწერს გაზეთი, — მათ ევროპაში იმაზე ნაკლები ჯარისკაცი გამოჰგზავნეს, ვიდრე 1915 წელს ცხრა თვის ომის შემდეგ. ავსტრალიისა და ახალ ზელანდიის ჯერ არ გაუგზავნიათ თავიანთი მფრინავები კანადაში, სადაც მათ საჩქაროდ უნდა გაიარონ გადამზადება. თვითმფრინავების წარმოებაც დომინიონებში არა საკმარისი იყო.

რეფიკ საიდამის სიტყვა

ანკარა, 3 ივნისი (საკდესი). ანატოლიის სააგენტო გადმოგვცემს, რომ გუშინ თურქეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ რეფიკ საიდამმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი და სხვათა შორის განაცხადა, რომ თურქეთის 1940-1941 წ. ჩვეულებრივი და საგანგებო ბიუჯეტი 337 მილიონ ლირას შეადგენს. რეფიკ საიდამმა აღნიშნა, რომ საომარი საჭიროების ასიგნებანი ჩვეულებრივი და საგანგებო ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს შეადგენენ. საიდამმა გააფრთხილა მოსახლეობა „უცხოეთის არაკეთილმოსურნე პროპაგანდის" წინააღმდეგ. დასასრულ მან განაცხადა: „დღეს ჩვენ ომში არა ვართ ჩაბმული და გვსურს ომს გარეთ დავრჩეთ". ამავე დროს საიდამმა მოუწოდა გააძლიერონ საომარი სამზადისი.

მცურავი ტანკები

მცურავი ტანკის (ტანკ-ამფიბიის) შექმნის იდეა ჩვეულებრივი სახმელეთო ტანკების გაჩენასთან ერთად წარმოიშვა. მათ დასაპროექტებლად და ასაგებად მუშაობა სწარმოებდა მსოფლიოს მთელ რიგ უდიდეს ქვეყნებში (ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ.).

მცურავი ტანკის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენდა ინგლისის ტანკი-ამფიბია კარდენ-ლოიდი, 1931 წელს აგებული. ეს ტანკი პროტოტიპი გახდა სხვა მოდელებისთვისაც.

ტანკ-ამფიბიის წონაა 3,2 ტონა, შეიარაღება — 1 ტყვიამფრქვევი, ეკიპაჟი — 2 კაცი, სვლის სისწრაფე ხმელეთზე — 45-60 კმ/საათი, წყალზე — 7-9 კმ/საათი, ჯავშანი — 9 მმ (მაქსიმალური).

1934 წელს იაპონიაში ამ ტანკის ტიპის მიხედვით აგებულ იქნა მეორე ტანკი-ამფიბია, რომელიც უმნიშვნელოდ განირჩევა ინგლისურისაგან. ამერიკელმა კონსტრუქტორმა კრისტიმ შეიმუშავა და ააგო თვლებიან-მუხლუხა მცურავი ტანკი 6,3 ტონა წონისა; მისი სისწრაფე წყალზე 11 კმ/საათს უდრიდა (შეიარაღება და ჯავშანი ზემოთმოყვანილი ნიმუშების ანალოგიური იყო). ცოტათი უფრო ადრე (1930 წელს) საფრანგეთშიაც ააგეს თვლებიან-მუხლუხა მცურავი ტანკი-ამფიბია შნეიდერ-ლორანი, 10 ტონა წონისა, ქვემეხიან-ტყვიამფრქვევიანი; მისი ჯავშნის სისქე 15 მილიმეტრს აღწევდა.

ყველა ამ ტანკის ასამოძრავებლად იყენებდნენ გემის ხრახნის ტიპის ხრახნს, რომელსაც მანქანის მოტორი აბრუნებდა სპეციალური ამძრავი მექანიზმის საშუალებით. ხრახნი ჩვეულებრივად მოთავსებულია ტანკის კიჩოს ქვემოთ. წყალზე მისი მართვისათვის ხმარობენ საჭეს; ისიც ტანკის კიჩოს ქვემოთ არის მოთავსებული, გემის ხრახნის გამოსავალთან. უცხოეთის პრესის ცნობებით, მცურავი ტანკებით შეიარაღებულია ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის არმია.

გერმანულ ჟურნალებში მოთავსებული მთელი რიგი სტატიების მიხედვით, რომელთა ავტორები გერმანიის არმიის ოფიცრები არიან, მოკავშირეებთან ომში გერმანიის მიერ ტანკ-ამფიბიების გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, მით უმეტეს, რომ საომარი მოქმედების ასპარეზზე მრავლად მოიპოვება დაბრკოლება წყლის სახით. თანამედროვე სასროლ საშუალებათა სიმძლავრის გამო, ამ დაბრკოლებათა გადალახვა ტანკების გამოუყენებლად ძალიან ძნელი იქნება.

რადგან არსებული ტანკ-ამფიბიები სუსტად შეიარაღებული მანქანებია და მათ სრულიად არასაიმედო დაჯავშნულობა აქვთ, ისინი სრულფასოვან საბრძოლო მანქანებად ვერ გამოდგებიან; მათ არ შეუძლიათ ძლიერი ეფექტის მოცემა ბრძოლაში. სქელი, საიმედო ჯავშნისმქონე ქვემეხიან - ტყვიამფრქვევიანი მცურავი ტანკის შექმნის იდეა კი ეწინააღმდეგება ტანკის ცურვადობას, რადგან ასეთი მანქანის წონის ერთეული დიდად აღემატება წყლის წონის ერთეულს, რაც შეუძლებლად ხდის წყლის ზედაპირზე ცურვას.

ტექნიკურად შესაძლებელი აღმოჩნდა მცურავ ტანკებად გადაქცევა მხოლოდ მსუბუქი ტანკებისა. მათი წონის ერთეულის (კუთხური წონის) შემცირება ტანკის გადიდების გზით (დიდი შიდა მოცულობის შესაქმნელად) შეუძლებლად ხდის მათთვის ისეთი ტაქტიკურ-ტექნიკური მოთხოვნების წაყენებას, როგორსაც ჩვეულებრივ სახმელეთო ტანკებს უყენებენ (თავიანთი დანიშნულების მიხედვით ტანკ-ამფიბიები უნდა აკმაყოფილებდნენ ორ პირობას: უნდა წარმოადგენდნენ მცურავ და სახმელეთო საბრძოლო მანქანებს).

ტაქტიკურ-ტექნიკური მოთხოვნები თანამედროვე სახმელეთო ტანკების მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მინიმალური საერთო სიდიდის დროს ისინი კარგად დაჯავშნულ ქვემეხიან - ტყვიამფრქვევიან მანქანებს უნდა წარმოადგენდნენ. გერმანიის პრესაში რამდენიმე წლის წინათ იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ ტანკები მცურავ მანქანებად გაეხადათ დაკიდებული ტივტივების საშუალებით, რომლებსაც ექნებოდათ გემის ხრახნები და მექანიზმები, რომლებიც ტანკებს წამყვან თვლებთან შეაერთებდა. ეს პრინციპულად მისაღები აზრი მოკლებული არ არის დიდ ნაკლოვანებებს. საქმე ის არის, რომ ტივტივები წყლის დაბრკოლების გადალახვის წინ უნდა გაუკეთდეს ტანკებს, ხოლო შემდეგ მეორე ნაპირზე გასვლისას უნდა მოიხსნას; ამასთან ეკიპაჟის უშიშროების მიზნით ეს უნდა ხდებოდეს ადამიანების მანქანიდან გამოუსვლელად. ასეთი ტივტივების პროექტი გაკეთებულ იქნა მსუბუქი შვედური ტანკისათვის ლანდსვერკ-60; მაგრამ ცნობები, რომლებიც ადასტურებდნენ მათ რეალურ გამოყენებას, არ გამოქვეყნებულა.

არსებული ტანკების მცურავ ტანკებად გადაქცევის სიძნელემ წყალქვეშმავალი ტანკების იდეა წარმოშვა. ცდები სწარმოებდა მთელ რიგ ქვეყნებში (კერძოდ საფრანგეთში). ტანკების ჰერმეტიზაცია იმისათვის, რომ შიგ წყალი არ შესულიყო, სპეციალური ჩასაფენისა და ყველა სარკმლისა და ხვრელის გაგოზვის გზით ხორციელდებოდა. ცდები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, მაგრამ, როგორც სჩანს, ამ საქმეს შემდგომი განვითარება არა ჰქონია. ცალკეული გერმანელი ავტორები ფიქრობენ, რომ მცურავი ტანკების შექმნისას დაცულ უნდა იქნას ასეთი პრინციპები: მსუბუქი ტანკები აგებულ იქნას როგორც მცურავი ტანკები, საშუალო და მძიმე ტანკები კი — როგორც წყალქვეშმავალი ტანკები.

დღემდე ტანკ-ამფიბიები არ გამოუყენებიათ ბრძოლაში არც გერმანელებს, არც მოკავშირეებს.

მაიორი პ. პეტროვი.

მისალმებანი „კომუნისტს"

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას

გაზეთის არსებობის 20 წლისთავის დღეს ჩვენი გულითადი სალამი საყვარელ ბოლშევიკურ გაზეთ „კომუნისტს" — სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების საუცხოო პროპაგანდისტს.

ვუსურვებთ გაზეთს — მომავალშიაც იაროს წინ ამ გზით და ჩვენი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების კარგი მაჩვენებლების პროპაგანდითა და თავისი ინიციატივით ხელს უწყობდეს ორდენოსანი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომ აყვავებას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს სსრ პავილიონის დირექტორი ვ. ბუჩიაშვილი

საქ. სსრ პავილიონის მთავარი მეთოდისტი რ. დოლონაძე

საქ. სსრ პავილიონის მთავარი მხატვარი შ. სიდამონ-ერისთავი

„კომუნისტის" რედაქციას

სრულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება, რომელიც მოიპოვა გაზეთმა „კომუნისტმა" — ეს არის მისი წარსული მუშაობის შეფასებაც და სტიმულიც ახალი წარმატებებისათვის.

ვუსურვებთ „კომუნისტის" რედაქციას შემდეგშიც ასე ენერგიულად იბრძოლოს საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აყვავებისათვის, ფართოდ გაშალოს პროპაგანდა მოწინავეთა გამოცდილებისა, კიდევ უფრო უკეთესად ასახოს გამოფენა—სოფლად სოციალიზმის გრანდიოზულ გამარჯვებათა ეს საყოველთაო-სახალხო დათვალიერება.

გაზეთ „ვსესოიუზნაია სელსკო-ხოზიაისტვენნაია ვისტავკის" რედაქცია.

○

გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქცია სულითა და გულით ულოცავს გაზეთ „კომუნისტის" ყველა მუშაკს, მკითხველებსა და მუშსოფლკორებს გაზეთის გამოსვლის დღიდან 20 წლისთავს.

„კომუნისტს" აქვს ბოლშევიკური მუშაობის სახელოვანი ისტორია. იგი უშიშრად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ, ამჟღავნებდა მათს გამცემლურ, შემთანხმებლურ პოლიტიკას, ამავე დროს მოუწოდებდა საქართველოს მუშებსა და გლეხებს მენშევიკთა კონტრრევოლუციური მთავრობის დასამხობად. ამასთან ერთად გაზეთი „კომუნისტი" დაუღალავად ებრძოდა ადგილობრივი ნაციონალიზმისა და დიდმპყრობელური შოვინიზმის ყოველივე გამოვლინებას, მუდამ ქადაგებდა ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის იდეებს. თქვენი გაზეთი თავის ფურცლებზე სისტემატურად აშუქებს ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვან ცხოვრებას, ხელს უწყობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, აშუქებს კულტურის აყვავებას, მშრომელთა კეთილდღეობას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის გაზეთმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დარაზმა მასები თავის გარშემო. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს იმას, თუ როგორ სისტემატურად აშუქებს თქვენი გაზეთი მოძმე რესპუბლიკების—სომხეთისა და საქართველოს ორ კოლმეურნეობას შორის სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ხელს უწყობს აღებულ ვალდებულებათა საუკეთესოდ შესრულებას.

გაუმარჯოს ჩვენს თანამოკალმეს, გაუმარჯოს თქვენს სახელოვან თარიღს—20 წელს ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის საგუშაგოზე.

გაზეთ „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქცია

○

საქართველოს კომპარტიის მებრძოლი ორგანოს გაზეთ „კომუნისტის" კოლექტივს, მუშსოფლკორებს და მკითხველებს აზერბაიჯანული გაზეთის „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივი და მკითხველები ძმურ ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან მისი ოცი წლისთავის დღეს. „კომუნისტი", რომელიც წარმოიშვა ბოლშევიკური არალეგალური მუშაობის პირობებში, აღიზარდა ლენინურ-ისკრული „ბრძოლის" სახელოვან ტრადიციებზე, სოციალისტური სამშობლოს ყველა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში სტალინური ხუთწლედების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში, გახდა საბრძოლო საყვირი აყვავებული მზიური საქართველოს მშრომელი მასებისა, რომლებიც გაბედულად მიდიან კომუნიზმისაკენ ძლევამოსილი გზით. დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **ბერიას** ხელმძღვანელობით „კომუნისტმა" ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ლენინურ - სტალინური ტრადიციების სულისკვეთებით აღზარდა ბოლშევიკი ჟურნალისტების შესანიშნავი კადრები. ვუსურვებთ „კომუნისტს", რათა მან მშრომელთა მასებთან მუდმივი კავშირის განმტკიცებით დარაზმოს ისინი ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე შემდგომი გამარჯვებების მოსაპოვებლად. თქვენი იუბილე მთელი ჩვენი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღესასწაულია.

აზერბაიჯანულ გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია

„ბაქინსკი რაბოჩი" — „კომუნისტს"

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის" რედაქციის კოლექტივი და მუშსოფლკორები მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნიან გაზეთ „კომუნისტს" მისი სახელოვანი ოცი წლისთავის დღეს.

„კომუნისტი" დაიბადა მაშინ, როდესაც საქართველოში ბატონობდნენ მენშევიკები, ჩაღდებოდა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციისათვის. ღრმა არალეგალობის პირობებში „კომუნისტი" **ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით ამხელდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს და ქართველი ხალხის სხვა მტრებს.

ოცი წლის განმავლობაში „კომუნისტს" მაღლა ეჭირა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშა, დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **ბერიას** ხელმძღვანელობით იბრძოდა საქართველოს სს რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციისათვის, მისი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, მშრომელთა კეთილდღეობის აღმავლობისათვის, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებისათვის.

განუხრელად ანხორციელებდა რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებას, „კომუნისტი" იბრძოდა კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, საქართველოს გადაქცევისათვის საბჭოთა კავშირის ძირითად სუბტროპიკულ ბაზად, ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცებისათვის.

„ბაქინსკი რაბოჩი" გამოსთქვამს რწმენას, რომ „კომუნისტი" შემდეგშიც სტალინურად იბრძოლებს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და დიდი **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის, კომუნიზმის აშენებისათვის.

გაზეთ „ბაქინსკი რაბოჩის" რედაქცია

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე კომკავშირულ სალამს უძღვნის გაზეთ „კომუნისტს" მისი არსებობის ოცი წლისთავზე.

გაზეთი „კომუნისტი" თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე განუხრელად განაგრძობს ბოლშევიკური პრესის იმ სახელოვან ტრადიციებს, რომლებიც ჩვენში რევოლუციური მოძრაობის ჯერ კიდევ გარიჟრაჟზე შეჰქმნა ხალხთა გენიალურმა ბელადმა დიდმა სტალინმა.

გაზეთმა „კომუნისტმა", განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა საუკეთესო სტალინელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია,** ბევრი რამ გააკეთა საქართველოს ახალგაზრდობის აღსაზრდელად სოციალისტური სამშობლოსადმი და ხალხთა ბელადის დიდი **სტალინისადმი** სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი უსურვებს გაზეთ „კომუნისტს" ახალ წარმატებებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი

○

საქდესის კოლექტივი მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მებრძოლ ორგანოს — გაზეთ „კომუნისტს" მისი სახელოვანი ოცი წლისთავის დღეს.

„კომუნისტი", რომელიც საქართველოს ბოლშევიკთა ხელში მძლავრ და ბასრ იარაღს წარმოადგენს, უდიდეს მუშაობას ატარებდა და ატარებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეის პროპაგანდისათვის, მშრომელთა კომუნისტურად აღზრდისათვის.

ვუსურვებთ „კომუნისტს" მომავალშიაც მაღლა ეჭიროს ლენინ-სტალინის პარტიის დროშა და ღირსეულად განაგრძოს ბოლშევიკური პრესის სახელოვანი ტრადიციები.

საქართველოს დეპეშათა სააგენტო

მზიური საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლ გაზეთს!

ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის ასიათასიანი არმიის სახელით მხურვალე სალამს ვუთვლით მზიური საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი გაზეთის „კომუნისტის" სარედაქციო კოლექტივს, კორესპონდენტებსა და მკითხველებს გაზეთის სახელოვანი ოცი წლისთავის დღეს. შესანიშნავი გზა განვლო გაზეთმა „კომუნისტმა". განვლილი ოცი წლის მანძილზე მას ყოველდღე მიჰქონდა მასებში გულის სიღრმეში ჩამწვდომი ბოლშევიკური სიტყვა, რაზმავდა მილიონობით მშრომელებს **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი უძლეველი დროშის ქვეშ. „კომუნისტი" ყოველდღე ელაპარაკება მუშებს, კოლმეურნე გლეხობას და საბჭოთა ინტელიგენციას მათთვის გასაგებ და საჭირო ენაზე, უნარიანად ეწევა სოციალისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანათა პროპაგანდას, განამტკიცებს ხალხთა სტალინურ მეგობრობას, იბრძვის ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების განუწყვეტელი ზრდისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ უფრო მაღლა იქნას აწეული გაზეთის იდეური დონე, უფრო მეტად გამახვილდეს ჩვენი პარტიის მძლავრი იარაღი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ „კომუნისტის" სარედაქციო კოლექტივი თავისი გაზეთის ოცი წლისთავს აღნიშნავს ახალი შემოქმედებითი აღმავლობით, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლით, მოწინავე ჟურნალისტთა რიგების ზრდით, ჩვენი პარტიის მიერ ბეჭდვითი სიტყვის წინაშე დასახულ ამოცანათა სანიმუშოდ შესრულებით. ვუსურვებთ „კომუნისტის" მუშაკებს, კორესპონდენტებსა და მკითხველებს ახალ გადამწყვეტ წარმატებებს მათს მუშაობაში, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიული XVIII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციას კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი.

ჩემი საბრძოლო სალამი „კომუნისტს"

გაზეთ „კომუნისტის" პირველი ნომრის გამოსვლიდან ბრძოლებითა და გამარჯვებებით აღსავსე ოცი სახელოვანი წლის შესრულების გამო ჩემი საბრძოლო სალამი გაზეთის მუშაკებს, მის მუშსოფლკორებსა და მკითხველებს.

ილია ხმალაძე

საბჭოთა კავშირის გმირი.

მისალმებანი

გაზ. „კომუნისტის" არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით რედაქციამ მიიღო მისალმებანი სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტისაგან, სახელმწიფო პოლიტლიტერატურის გამომცემლობისაგან, სსრ კავშირის რევოლუციის მუზეუმისაგან, ლენინგრადის ს. მ. კიროვის მუზეუმისაგან, მოსკოვის საბჭოთა მხატვრების კავშირისაგან, სრულიად-რუსეთის თეატრალური საზოგადოებისაგან, ვოროვსკის სახელობის ლენინგრადის ჟურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტისაგან, თბილისის საბჭოს აღმასკომისაგან, საქ. ბეჭდვითი სიტყვის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისაგან, სოხუმის ლ. ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტისაგან, აჭარის ასსრ მიწსახკომისაგან, ინგურქაღალდკომბინატის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსებისაგან, მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივისაგან, ქუთაისის სახელმწიფო თეატრისაგან, საქესტრადისაგან და სხვ.

გამოგზავნეს თავიანთი მისალმებები ჟურნ. „ბოლშევიკმა" (თბილისი) და გაზეთებმა: „ავიაციონნაია გაზეტა" (მოსკოვი), „ლენინგრადსკაია პრავდა"", „მოლოტ" (როსტოვი), „ნა სტრაჟე როდინი" (ლენინგრადი), „კომუნისტ" (ერევანი), „ბანვორ" (ლენინაკანი), „მოლოდოი სტალინეც" (თბილისი), „ლიტერატურული საქართველო", „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა", „სტალინური ლოკომოტივი", „ნორჩი ლენინელი", „საბჭოთა სუბტროპიკები", „საბჭოთა მასწავლებელი", ჟურნ. „ნიანგი". მიღებულია აგრეთვე მისალმებანი აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ - ოსეთის საოლქო პარტიული და კომკავშირული გაზეთების, თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების, ჟურნალებისა და მთელი რიგი საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებისაგან.

რედაქციამ მიიღო მისალმებანი სსრ კავშირის სახალხო არტისტების იაბლოჩკინასაგან, უზეირ ჰაჯიბეგოვისაგან, რსფსრ სახალხო არტისტ ელენე გოგოლევასაგან, სპორტის დამსახურებული ოსტატების რალიუკოსა და გ. ტუროვასაგან, საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ სახკომსაბჭოსაგან, საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტისაგან, საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის, სიღნაღის, წყალტუბოს, თბილისის, მცხეთის, გორის, ქობულეთის, წითელწყაროს, ცხაკაიას, დუშეთის რაიონული კომიტეტებისაგან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მახარაძის, გორის, მცხეთის, დუშეთის რაიონული აღმასრულებელი კომიტეტებისაგან, წნორის მტს-ის მუშაკებისაგან, სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, ბათუმის რაიონის სოფ. აგარის „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან, ქობულეთის რაიონის „კომუნისტის" სახ. კოლმეურნეობის წევრებისაგან, გორის რაიონის სოფ. იგოეთის სტახანოველებისაგან, გაზ., „საბჭოთა აჭარის" რედაქტორ დ. დუმბაძისაგან, წითელარმიულ გაზეთ „ოგონის" რედაქტორის, პოლიტხელ ნ. ფხაკაძისაგან, ლენინგრადის № ნაწილის გაზეთის რედაქტორის, უფროსი პოლიტხელის ბ. ჭუმბურიძისაგან, მოსკოვის № ნაწილის წითელარმიელ ე. გიგინეიშვილისაგან ამხ. ამხ. ნიკ. ცხაკაიასაგან, შალვა სოსლანისაგან და სხვა მრავალი.

გაზეთ „კომუნისტის" 20 წლისთავი

საქართველოს ბოლშევიკები დღეს აღნიშნავენ თავიანთი გაზეთის „კომუნისტის" — საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს 20 წლისთავს.

„კომუნისტის" პირველი ნომერი გამოვიდა 1920 წლის 3 ივნისს, როდესაც საქართველოში გაბატონებული იყვნენ ხალხის უბოროტესი მტრები—მენშევიკები.

„კომუნისტი" აღმოცენდა და ვითარდებოდა სტალინური „ბრძოლის" სახელოვან ტრადიციებზე. თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე მან გააჩაღა ბრძოლა ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, ამხილდა მენშევიკების გამცემლურ, კონტრრევოლუციურ პოლიტიკას, რაზმავდა მშრომელთ მენშევიკური მთავრობის დასამხობად და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

მენშევიკები ყოველნაირად სდევნიდნენ ბოლშევიკურ გაზეთს, მას მოუხდა სახელწოდების სამჯერ გამოცვლა. მენშევიკური მთავრობის მიერ პირველი ათი ნომრის შემდეგ დახურული გაზეთი ხუთი დღის შემდეგ, 1920 წლის 18 ივნისს, გამოდის უკვე სხვა სახელწოდებით — „საქართველოს კომუნისტი". ამ სახელწოდებით მან იარსება მხოლოდ ერთი თვე. 17 ივლისს იგი ისევ აკრძალეს. მხოლოდ რსფსრ რესპუბლიკის წარმომადგენლის ს. მ. კიროვის ჩარევის შემდეგ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დართო ნება გაზეთის კვლავ გამოცემისა. ამ მომენტიდან 1920 წლის ბოლომდე იგი გამოდის სახელწოდებით „ახალი კომუნისტი". 1921 წლის მარტში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, გაზეთი კვლავ იწყებს გამოსვლას თავისი პირვანდელი სახელწოდებით — „კომუნისტი".

თავისი არსებობის 20 წლის განმავლობაში გაზეთი დაუღალავად იბრძოდა ადგილობრივი ნაციონალიზმისა და თვითმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისათვის. მან დიდი მუშაობა ჩაატარა ბურჟუაზიული ნაციონალისტების გამომჟღავნებისა და განადგურებისათვის, ტროცკისტულ-ბუხარინული სიბილწისაგან საქართველოს კომპარტიის გაწმენდისათვის.

„კომუნისტი" ენერგიულად იბრძვის საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აღმავლობისათვის, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის განვითარებისათვის. მისი ინიციატივით 1938 წელს დაიწყო მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა შეჯიბრება სხვა რაიონების კოლმეურნეებთან ჩაის პლანტაციებზე სანიმუშო მუშაობისათვის. „კომუნისტი" გამოვიდა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შეჯიბრების ინიციატორად 1939 და 1940 წლების სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, ფართოდ ეწევა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდას. საუკეთესო სტახანოველები და სტახანოველი ქალები — ჩაის, ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ტუნგოს, ყურძნის, თამბაქოს მაღალი მოსავლის ოსტატები, — საუკეთესო მეცხოველეები და მეაბრეშუმეები—ისეთები, როგორიც არიან უშა ახუბა, ცაცა ქარდავა, შოთა გოგუაძე, ოსანა აივაზაშვილი და მრავალი სხვა, მის ფურცლებზე ხშირად უზიარებენ სხვებს თავიანთი კარგი მუშაობის გამოცდილებას.

გაზეთში სისტემატურად შუქდება კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება. კონკრეტული მაგალითებით გაზეთი გვიჩვენებს კომუნისტების მოწინავე როლს ციტრუსების პლანტაციებზე, სუბტროპიკულ ბაღებში, ვენახებში, საკოლმეურნეო ფერმებში.

გაზეთი დიდ დახმარებას უწევს „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შემსწავლელთ. კონსულტაციები, ლექციები, ნაამბობი გამოცდილების შესახებ, ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის მეთოდების შესახებ მუდამ პოულობენ ადგილს მის ფურცლებზე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მუშაობა, რომელიც გაზეთმა ჩაატარა საქართველოში და ამიერკავკასიაში ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ მასალებისა და დოკუმენტების შეგროვებისა და დაბეჭდვისათვის. გაზეთი „კომუნისტი" აქვეყნებდა ცალკეულ დოკუმენტებს, ძველი მუშების მოგონებებს, სტატიებს, ხალხურ თქმულებებს, ლექსებს. ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავის დღეებში რედაქცია ამ შესანიშნავ მასალებს მთელ გვერდებს უძღვნიდა. ბევრი მათგანი ახლა შევიდა გაზეთის მიერ გამოცემულ სპეციალურ კრებულში.

„კომუნისტმა" თავის გარშემო შეჰქმნა ავტორთა დიდი აქტივი. მის მუშაობაში მუდმივად იღებს მონაწილეობას ათასზე მეტი მუშსოფლკორი, პარტიული მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მწერლების, პოეტების, ხელოვნების მუშაკთა დიდი რაოდენობა. მუშსოფლკორებისა და კედლის გაზეთების რედაქტორთათვის მოწყობილია დაუსწრებელი სწავლება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაუსწრებელი სწავლება რედაქციასთან გაიარა ორი ათასზე მეტმა კაცმა.

ასეთია გაზეთ „კომუნისტის" ოცი წლის მოღვაწეობის არასრული შედეგი.

რასაკვირველია, მას ყველაფერი რიგზე როდი ჰქონდა და როდი აქვს. გაზეთის ნაკლოვანებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, უწინარეს ყოვლისა ის, რომ ყველა მისი ფურცლები როდი კეთდება ცოცხლად და ლამაზად; ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი გაზეთის ფურცლების საკმაოდ დიდი რაოდენობის უფერულობა. გაზეთმა მეტი ადგილი და ყურადღება უნდა დაუთმოს ადგილობრივი ორგანიზაციების ნაკლოვანებათა კრიტიკას, იგი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს გამოქვეყნებული მასალების ქმედითობას.

„კომუნისტის" რედაქციის კოლექტივს მართებს დაუღალავი მუშაობა გაზეთის, როგორც საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ორგანოს, შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

„პრავდა", 3 ივნისი.

პარტიული ცხოვრება

საანგარიშო კრების შემდეგ

თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. რაჩინსკი) საანგარიშო-საარჩევნო კრების შემდეგ მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესა; პარტორგანიზაცია გაიზარდა ფაბრიკის მოწინავე ადამიანების ხარჯზე. საანგარიშო კრებიდან დღემდე პარტორგანიზაციის მიერ საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატობიდან წევრად მიღებულია 10 ამხანაგი, მათ შორის 7 ქალი, პარტიის წევრობის კანდიდატად კი მიღებულია 7 ამხანაგი, მათგან 3 ქალი.

პარტიის წევრობის კანდიდატებთან სისტემატური მუშაობის შედეგად ისინი კარგად ასრულებენ მიცემულ პარტიულ დავალებებს. მაგალითად, ამხ. პ. პავლოვს და ამხ. ბალარჯიშვილს დავალებული ჰქონდათ შეემოწმებინათ საფაბრიკო კომიტეტის მუშაობა. დავალება მათ პირნათლად შეასრულეს. ამხ. ე. შაბსონმა და ამხ. ვ. ჭელიძემ კი შეამოწმეს ფაბრიკაში არსებული ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობა და მათი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის წამოაყენეს პრაქტიკული წინადადებანი.

პარტორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას უთმობს ფაბრიკის ადმინისტრაციის საქმიანობისათვის კონტროლის გაწევას. ერთერთ პარტკრებაზე მოსმენილ იქნა ფაბრიკის მე-2 კორპუსის უფროსის ამხ. კ. პარუნაკიანის და ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი საამქროს უფროსის ამხ. ს. ფრიდონოვის მოხსენება. გამოირკვა, რომ ფაბრიკის აღნიშნულმა საამქროებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი და მიაღწიეს დანაკარგების საგრძნობლად შემცირებას. მონარჩენი მასალიდან აკეთებენ საამანათო ყუთებს და სხვ.

პარტორგანიზაციის მითითების საფუძველზე საფაბრიკო კომიტეტმა მოაწყო ამხანაგური სასამართლოები, გამოცოცხლდა კულტკომისიის მუშაობა, ამოქმედდა თვითმოქმედი რუსულ-ქართული წრეები.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მიერ მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა საფუძველზე პარტორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციის მუშაობის გაუმჯობესებაზე. მიმდინარე წლის 23 მაისისათვის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტმა უკვე ჩააბარა ნორმები პირველი საფეხურის ნიშანზე. თავდაცვის თემებზე ფაბრიკაში ხშირად ტარდება ლექციები და უჩვენებენ კინოსურათებს.

აღნიშნულ მიღწევებთან ერთად ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას საგრძნობი ნაკლოვანებებიც აქვს. პარტბიურომ დღემდე ვერ გაამახვილა ყურადღება სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე. ეს საქმე მან მარტო პროფორგანიზაციას გადააკისრა.

პარტბიურო აგრეთვე ნაკლებ ყურადღებას აქცევს აგიტატორების მუშაობას. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ჩატარების შემდეგ პარტბიურომ შეასუსტა აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობა. ამიტომაა, რომ ახლა ისინი დიასახლისებს შორის არავითარ მუშაობას არ ეწევიან.

ნ. გევორქოვა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) ვიქტორ ისრაილის-ძე **დარჩია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1921 წლიდან, პარტბილეთი № 1517585—ცილისწამებისათვის. 2) ესტატე სისანის-ძე **შამათავა** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1920 წლიდან, პარტბილეთი № 1522814—სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის. 3) დიომიდე დიმიტრის-ძე **კალანდაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1668356—კოოპერატიული სახსრების გაფლანგვისათვის. 4) ილარიონ თომას-ძე, **კვიცინაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1543479—კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, პარტიულ კრებებზე დაუსწრებლობისა და 1939 წლის აგვისტოდან პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის. 5) ნიკოლოზ ნესტორის-ძე **ფუტურიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1669987—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი ნასამართლობა. 6) ვარლამ ტარასის-ძე **ტყეშელაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2162399—საკოლმეურნეო სახსრების მითვისებისათვის. 7) გიორგი მალაქიას-ძე **გონგაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2854139—იმისათვის, რომ პარტიაში შესვლისას დაჰფარა თავისი წარსული და ნასამართლობა. 8) ვალერიან გიორგის-ძე **ყუჩაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1931 წლიდან, პარტბილეთი № 1544953—ლოთობისა და ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის. 9) აკაკი ილიას-ძე **ქვათელაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1520927—სახელმწიფო სახსრების გაფლანგვისათვის. 10) სოლომონ ივანეს-ძე **დავითაშვილი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0926867 — სიყალბის ჩადენისა და სახელმწიფო სახსრების მითვისებისათვის. 11) ვასილ ვლადიმერის-ძე **საბეკია** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1669902—ყოფაცხოვრებითი გახრწნილებისათვის. 12) ვასილ დიმიტრის-ძე **კოლტუხოვი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1548161—სისტემატური ლოთობისა და შრომის დისციპლინის დარღვევისათვის. 13) კონსტანტინ იოსების-ძე **ღვალაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1925 წლიდან, პარტბილეთი № 1504400—ქურდობისათვის. 14) ალექსი მიხეილის-ძე **მხეიძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1937 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1263588—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის, პარტიული ცხოვრებისაგან მოწყვეტისა და პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის. 15) დავით ივანეს-ძე **მშვენიერაძე** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0708670—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და ამ ფაქტის პარტორგანიზაციისათვის დაფარვისათვის, პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის. 16) ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე **ჯანჯღავა** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1681585—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისა და რაიონიდან თვითნებურად გამგზავრებისათვის. 17) ტიმოთე ივანეს-ძე **ჟოვნერი** — საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან — საკანდიდატო ბარათი № 1671092—პარტდოკუმენტების სამჯერ დაკარგვისათვის. 18) იოსებ ადამის-ძე **კუმერი**—საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1507599—სიმთვრალის დროს პარტბილეთის დაკარგვისათვის, პარტორგანიზაციისაგან მოწყვეტისა და პარტსაწევროს გადაუხდელობისათვის.

კომუნისტთა წინადადებების საფუძველზე

(ქუთაისი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის ლიტოპონის ქარხანამ გარღვევით დაიწყო მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წელი.

რატომ მოხდა ეს?

— პარტბიურო, — ვკითხულობთ საანგარიშო-საარჩევნო კრების დადგენილებაში, — სისტემატურ კონტროლს არ უწევდა ადმინისტრაციის საქმიანობას, ყურადღება არ ექცეოდა მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საქმიანი წინადადებების გატარებას, არ იყო ბოლშევიკური კონტაქტი ადმინისტრაციის და პარტბიუროს მუშაობაში. მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმება, რაც საქმის წარმატების გარანტიას იძლევა, არადამაკმაყოფილებლად იდგა. ამის გამო პარტორგანიზაციის მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები შეუსრულებელი რჩებოდა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პარტბიურომ კომუნისტთა სიგნალები მიიღო. ისინი აცნობებდნენ, რომ ცალკეულ საამქროებში სამონტაჟო ნაწილების უქონლობის გამო ქარხანას გაჩერება მოელის. პარტბიუროს მდივანი ამხ. ს. აბულაძე პირადად გაეცნო მდგომარეობას. დარწმუნდნენ რა სიგნალის სერიოზულობაში, 11 მარტს პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს სამონტაჟო ნაწილებით დანადგართა მომარაგების მდგომარეობის საკითხი. მოხსენებით გამოვიდა ქარხნის მთავარი მექანიკოსი კომუნისტი ამხ. კ. ურუშაძე. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ქარხნის სამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები. იყო აზრთა საქმიანი გაცვლა-გამოცვლა. პარტბიურომ დასახა ოთხი მუხლისაგან შემდგარი ღონისძიება, რომელიც მეტად საგულისხმოა თავისი კონკრეტულობით. ასე, მაგალითად, პარტბიუროს მდივანს ამხ. აბულაძეს ამ დადგენილებით დაევალა აცნობოს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარს და საღებავთა მრეწველობის მთავარი სამმართველოს პარტორგანიზაციას, რომ სახ. კომისარიატის საღებავთა მრეწველობის მთავარი სამმართველო და მისი მომარაგების განყოფილება ქარხანას არადამაკმაყოფილებლად უზრუნველჰყოფს მონტაჟისათვის საჭირო სარეზერვო მოწყობილობით.

დადგენილების გამოტანის მეორე დღიდანვე პარტბიურო თვალყურს ადევნებდა და სწავლობდა — ახორციელებდნენ თუ არა კომუნისტები და სპეციალისტები პრაქტიკული ღონისძიებით დაკისრებულ დავალებებს. ამან შედეგი გამოიღო. შესამჩნევად გაუმჯობესდა სამონტაჟო ნაწილებით საამქროთა მომარაგება. მალე, 25 მარტს, პარტბიურომ განიხილა ამ დადგენილების შესრულების შემოწმების შედეგები. გამოირკვა, რომ პრაქტიკული ღონისძიებების ყველა მუხლი, გარდა ერთისა, შესრულებულია. ბიურომ დაავალა ქარხნის დირექტორს ამხ. პოლდრაკს პირადად მოჰკიდოს ხელი საქმეს და დაჩქარებით უზრუნველჰყოს მექანიკური საამქრო ყველა საჭირო იარაღით.

22 მარტს საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის ბიურომ, ხოლო უფრო გვიან, ამ საფუძველზე, პირველადმა პარტორგანიზაციამ მიიღეს დადგენილებები ლიტოპონის ქარხნის მუშაობის შესახებ. იმ ყოველდღიურმა კონტროლმა ქალაქკომისა და პარტორგანიზაციის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე, რასაც პარტბიურო ახორციელებდა, გამოამჟღავნა, რომ ქარხნის დირექცია კვლავ აუჩქარებლად მუშაობდა. აპრილის შუა რიცხვებში პარტბიურომ გამოჰყო კომუნისტების ბრიგადა, რომელმაც შეამოწმა დირექციის მუშაობის ცალკე საკითხები, ხოლო 7 მაისს ბიურომ განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება პარტიის ქალაქკომისა და ადგილობრივი პარტორგანიზაციის დადგენილებები. გარდა ამისა, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში პარტბიურომ კომუნისტ-ინჟინრებისა და სპეციალისტების მონაწილეობით რამდენჯერმე შეამოწმა ლიტოპონის, ბარიუმის, თუთიის, საქვაბე და სხვა საამქროების მუშაობა. შემოწმების შედეგად პარტბიუროში უამრავი ძვირფასი მასალა დაგროვდა. ამან საშუალება მისცა მას მიეღო სწორი გადაწყვეტილება საამქროთა მუშაობის უკეთ წარმართვისათვის, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურად მოეწყო მისი შესრულების შემოწმება.

საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატმა, ელექტროენერგეტიკოსმა ამხ. გ. გორდაძემ პარტბიუროს აცნობა, რომ საქვაბე საამქროს მუშები შრომის არანორმალურ პირობებში იმყოფებიან იმის გამო, რომ ქვაბებს ქვეშ უამრავი ნაცარი გროვდება, ხოლო მისი გატანა ხელით, ცხელი ტემპერატურის პირობებში, მეტად ძნელია. გორდაძემ წამოაყენა წინადადება მექანიზებულ იქნას საამქროდან ნაცრის გაზიდვის ოპერაცია. პარტბიურომ ამ წინადადების განხილვაში ქარხნის სპეციალისტები ჩააბა. მათ მოიწონეს ეს წინადადება. პარტბიურომ განიხილა საქვაბე საამქროს მუშაობის საკითხი და დირექციას ურჩია გორდაძის წინადადების გატარება. ამხ. გორდაძის წინადადება უკვე განხორციელებულია.

ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლების მომარჯვებამ კიდევ უფრო ინიციატივიანი გახადა პარტიული ორგანიზაცია, მისი თვითეული წევრი. ქარხანას არ ჰქონდა კოქსის საწყობი. კოქსს ღია ცისქვეშ „ინახავდნენ", იგი სველდებოდა. დასველებული კოქსი კი ღუმელებს აციებდა, აგრეგატებში იჭედებოდა, ხოლო ეს საგრძნობლად სცემდა შრომის ნაყოფიერებას. პარტბიურომ საკითხი საწარმოო თათბირზე გადაიტანა, და მალე ქარხანაში გაჩნდა კოქსის საწყობი.

პარტორგანიზაციის მუშაობის უნარიანად წარმართვამ თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა უკვე აითვისა ლიტოპონის წარმოების რთული ტექნიკა. დანადგარები ნორმალურად მუშაობენ და თითქმის ყველა საამქრო დიდად აჭარბებს თავის საპროექტო სიმძლავრეს. ამჟამად ქარხნის 400 მუშიდან 152 სტახანოველი და 32 დამკვრელია. წარმოებაში უშუალოდ მომუშავე 32 კომუნისტიდან 20 სტახანოველია და 12 დამკვრელი. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ქარხანა გეგმას მაინც ვერ ასრულებს. რაშია საქმე, რატომ დააკლეს გასულ ოთხ თვეში ქვეყანას 1.592 ტონა ლიტოპონი?

საქმე იმაშია, რომ ქარხანას აკლია ნედლი მასალა, უმთავრესად ბარიტი, რომლის მაღაროები იქვე, ქუთაისის ახლოს მდებარეობენ. საწარმოს ნედლი მასალით უზრუნველყოფის საქმე პირველ საზრუნავ საქმედ გაუხდია პარტბიუროს. მან დირექციასთან ერთად მობილიზაცია უყო ქარხნის მთელ ტრანსპორტს მაღაროებიდან (წიფლარი, ჟონეთი და სხვ.) ბარიტის ჩამოსაზიდად. მაგრამ რა გამოვიდა? საქ. ბარიტის ქუთაისის სამმართველომ (უფროსი — ამხ. ბ. გოგეშვილი), მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არაერთი მკაცრი მითითებისა, ქარხანა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველჰყო საჭირო რაოდენობის მაღალხარისხოვანი ბარიტით.

ამ დღეებში საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის შესახებ მიიღო დადგენილება, რომლის შესრულება ქარხნის შემდგომი მუშაობის გარდაქმნის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს ამოცანას შეადგენს ბოლშევიკურად მოიმარჯვოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება, კვლავ თანმიმდევრულად აწარმოოს და ფართოდ გამოიყენოს ადმინისტრაციის საქმიანობაზე კონტროლის უფლება, უკეთ მოაწყოს დადგენილებათა შესრულების შემოწმება, უახლოეს დღეებში მიაღწიოს ქარხნისათვის საჭირო მაღალხარისხოვანი ნედლი მასალის აუცილებელი მარაგის შექმნას და ამით უზრუნველჰყოს 1940 წლის გეგმის ვადაზე ადრე შესრულება.

გ. ყურაშვილი

თბილისი. ლ. ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტკაბინეტში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი საუბრობენ საერთაშორისო საკითხებზე.

ფოტო ბუდუშსკისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ო. ჰენრი

(გარდაცვალების 30 წლისთავისათვის — 5/VI)

ამერიკელი მწერალი ო. ჰენრი ახალი დროების ერთერთი უაღრესად თავისებური მხატვარია. მის კალამს 270-მდე მოთხრობა ეკუთვნის და მწერლობაში უამრავი მიმბაძველი ჰყავს. კრიტიკოსები მას ხშირად უწოდებდნენ ამერიკელ მოპასანს და ამერიკელ ჩეხოვს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ო. ჰენრი სწერდა პატარა მოთხრობებს, რომლებშიც ასახავდა სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებს. ო. ჰენრი გვიხატავს იმ ადამიანების მჭმუნვარე, უაზრო, ცუდად მოწყობილ ცხოვრებას, რომელნიც ამერიკულ „დემოკრატიას" უგულებელუყვია და რომელთაც ამერიკული სიუხვე არ გაჰკარებია. გარეგნულად ო. ჰენრის მოთხრობები გამართობელია, მაგრამ ამ მოთხრობათა მკითხველი მუდამ გრძნობს გულში ჩამარხულ მწუხარებას, ხშირად კი გულისწყრომასაც.

მწერლის ნამდვილი სახელია ვილიამ სიდნეი პორტერი. იგი დაიბადა 1862 წელს. მისი ბიოგრაფია წმინდა ამერიკულია. იგი ყოფილა ბუღალტერი, კოვბოი, მონადირე, მეაფთიაქე, ლექტორი, რეპორტიორი. გაჭირვებას ზოგჯერ საეჭვო ადამიანებთანაც დაუკავშირებია. იგი იჯდა საპყრობილეში, რომელიც მისთვის ადამიანის ტანჯვის უმაღლესი სკოლა ყოფილა. მან სამხრეთი და ჩრდილოეთი ამერიკა შემოიარა, ჩინებულად იცნობდა თავის ქვეყანასა და ხალხს.

XIX საუკუნის 90-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატები იმპერიალისტური ქვეყანა გახდა. მოხდა იმპერიალისტური ესპანეთ-ამერიკის ომი, რის შედეგადაც ა. შ. შტატებმა სრული ბატონობის შესაძლებლობა მოიპოვეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

ო. ჰენრიმ თავის პირველ წიგნში „მეფენი და კომბოსტო" (1904) მრავალი ასეთი პროცესი დაგვიხატა. ჩვენ ვეცნობით პაწია „ბანანის" სახელმწიფოს, სადაც დაუსრულებლად იცვლებიან მთავრობანი და პრეზიდენტები. ამ ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონია ამერიკელ მეხილეთა კომპანია, რომელიც მრავალ სახელმწიფო გადატრიალებას ახდენს და საჭიროებისამებრ პრეზიდენტებს აძევებს ან აყენებს.

იმ ხანებში ამერიკულ ლიტერატურაში უთვალავი რომანი და მოთხრობა გაჩნდა სხვადასხვა ბრწყინვალე კარიერისა და ამერიკის „დიად შესაძლებლობათა" შესახებ. ეს იყო „საქმოსნური ოპტიმიზმი", რაც სპეციალურად ინერგებოდა — ეს იყო იმპერიალისტურ იდეათა პროპაგანდა. ო. ჰენრიმ თავისებურად გაილაშქრა ასეთი ლიტერატურის წინააღმდეგ. თავის მოთხრობათა ერთერთი კრებულის წინასიტყვაობაში იგი სწერს: დღევანდელ მწერლებს საკადრისად მიაჩნიათ მხოლოდ იმ ოთხასიოდე ფინანსისტზე სწერონ, რომლებიც ქვეყნის ფაქტიური ბატონ-პატრონნი არიან. მე კი ოთხასზე კი არა, ოთხ მილიონზე ვწერო (მაშინ ნიუ-იორკში ოთხი მილიონი მცხოვრები იყო).

ჰენრი, მართლაც მრავალთა შესახებ და მრავალთათვის სწერდა, მუშა, მოსამსახურე, გამყიდველი, უჩინარი აქტიორი, მხატვარი, ჟურნალისტი, პატარა და დიდი ბაცაცა მაწანწალა—აი „ოთხი მილიონი" პატარა ადამიანის სამყარო, რასაც მწერალი გვიხატავს. იგი ჩინებულად იცნობს ამ ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებასა და ჟარგონს, განსაკუთრებულ ნიუ-იორკულ ჟარგონს, ეგრეთწოდებულ „სლენგს", რომლითაც დაწერილია ო. ჰენრის ქალაქური მოთხრობების უმრავლესობა, რომლის სიმშვენიერე, სამწუხაროდ, თარგმანში იკარგება.

ო. ჰენრის მოთხრობათა გმირები ცხოვრობენ ბნელ სხვენებსა და საძაგლად მოწყობილ ოთახებში, საძაგელი საჭმლით საზრდოობენ იაფ რესტორანებში. მათი სიამოვნებანი უბადრუკი რამ არის. ეს ხალხი ცოცხალი მხილება და კიცხვაა ნიუ-იორკის დიდ მშვენიერებისა და ბრწყინვალებისა. ო. ჰენრი თავის შემოქმედებაში გაურბოდა მკვეთრს ტრაგიკულ მომენტებს. მეტწილად მისი მოთხრობები კეთილად, ხშირად მოულოდნელად თავდებიან. მაგრამ ყოველი მისი მოთხრობა მკითხველში იწვევს გულისწყრომას ადამიანის ღირსების გათელვის გამო, მისი უხეირო ბედის გამო.

ზოგჯერ მის ნაწარმოებთა გმირებში მდიდრებიც ურევიან. და მხოლოდ აქ ვხედავთ, რაოდენი მძაფრი გესლიანობით შეუძლია წერა ო. ჰენრის.

ავერ ისტორია მილიონერ ჯეკობ სპრეგინსისა, რომელმაც ჩალის ფასად იყიდა მიწის ნაკვეთი, რაც ქვანახშირის უდიდეს მარაგს შეიცავდა. სპრეგინსის ჯიბე მილიონებით სქელდება, და რაც უფრო მდიდრდება, მით უფრო ხშირად აგონდება აქლემი და ნემსის ყუნწი (იგულისხმება სახარების ცნობილი სიტყვები: აქლემი უფრო იოლად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში). სპრეგინსი ბევრს ხარჯავს ქველმოქმედებაზე, მაგრამ შვებას ვერ ჰპოვებს. მისი სულიერი ტანჯვა ჰქრება შვილიშვილის გაჩენის შემდეგ. მრავალი თხოვნა დახმარების შესახებ უყურადღებოდ რჩება, ხოლო სპრეგინსის საწარმოთა პროდუქციის ფასი მატულობს და მატულობს. ჰენრი გვიხატავს მრავალ მდიდარს, მეტიჩარას, ამერიკული სასკანდალო სახელის—რეკლამის მაძიებელს.

მის მოთხრობებში მუდამ გადაკრულად არის მხილებული კაპიტალისტური წესწყობილება, ამ მხილებას მეტწილად სტრიქონებს შორის გრძნობთ. მისი ერთერთი შესანიშნავი მოთხრობაა „ჯიმი ვალენტაინის მეტამორფოზი". ეს არის ისტორია ერთი ქურდ-ბაცაცისა, რომელმაც ქალის—ბანკირის ქალიშვილის სიყვარულით მიატოვა თავისი ხელობა. არავინ იცის, რომ ამ ახალგაზრდა, ნიჭიერ საქმოსანში ქურდ-ბაცაცა იმალება. მაგრამ მოხდა უბედურება. ამ გმირის საცოლოს პაწია და თამაშის დროს საბანკო სეიფში ჩაიკეტა. ჯიმიმ მის გადასარჩენად ყოველივე გასწირა და კვლავ ქურდ-ბაცაცა გახდა. [illegible] მოთხრობაში ყველაფერი კეთილად თავდება. ე. ჯენინგსის წიგნში „ო. ჰენრი ფსკერზე" ჩვენ ვტყობილობთ ამ მოთხრობის წარმოშობის წყაროს. ამ წიგნის ავტორი ო. ჰენრისთან ერთად, სასჯელს იხდიდა საპყრობილეში. ბედმა ისინი წინათაც და შემდეგ ერთმანეთს შეახვედრა. მთელ თავიანთ სიცოცხლეში ისინი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ისინი ერთი საშინელი შემთხვევის მოწმენი გახდნენ. საპყრობილეში იყო ახალგაზრდა ქურდი—დამნაშავე. ერთხელ საპყრობილის სალარო დაიკეტა და ვერავინ აღებდა. ქურდს ამნისტია აღუთქვეს, თუ კი სალაროს გააღებდა. მან წარჯვენა ხელის თითებზე ფრჩხილები პირწმინდად მოიხერხა, რათა თითები მაქსიმალურად გრძნობიერი გაეხადა, საჭირო ზამბარები მოსინჯა და სალარო გააღო. ამნისტია ქურდმა, რასაკვირველია ვერ მიიღო. ო. ჰენრიმ ამ შემთხვევაზე სახუმარო ნოველა დასწერა.

ზოგიერთი კრიტიკოსი ო. ჰენრის ბრალსა სდებდა, თითქოს იგი სინამდვილეს ალამაზებდეს და გაუმართლებელ ოპტიმიზმს იჩენდეს. ეს მცდარი აზრია. ო. ჰენრის მოთხრობებში კეთილდღეობა მოჩვენებითია. იგი ხშირად მოიმარჯვებს ხოლმე ირონიული მხილების ხერხს: შუა მოთხრობაში მოულოდნელად მკითხველს მოაგონებს: ეს მოგონილი ამბავია, ცხოვრებაში კი სხვაგვარი ამბები ხდება.

მართლაც მხნე და ხალისიანია ო. ჰენრის მოთხრობები დასავლეთისა და სამხრეთის შესახებ, ამერიკის იმ მხარეთა შესახებ, სადაც იმპერიალიზმისა და სტანდარტის სულისკვეთება ჯერ კიდევ მთლად ვერ შეჭრილა. მისი კოვბოები, ოქროს მაძიებელნი, ფერმერები, მესაქონლეები — პირდაპირი, გამბედავი, სიცოცხლით სავსე, სულითა და სხეულით ჯანსაღი ადამიანები არიან. დოლარის კულტით ჯერ კიდევ არ დაავადებულან, და კოვბოი—მხატვარი ცუდ სურათში ფულის მიღებაზე უარს ამბობს, რაკი გაიგებს თვითონაც და მისი სურათიც საჭირონი არიან არა თავისთავად, არამედ რომელიღაც პოლიტიკანური მაქინაციის შენიღბვის საშუალებად.

პატიოსანი მხატვრის თემა ხშირია ო. ჰენრის შემოქმედებაში. იგი ეძებდა ასეთ სახეებს და თვითონაც მგზნებარედ ეწადა ასეთი ყოფილიყო.

ო. ჰენრიმ ამერიკაში პოპულარობა მოუპოვა პატარა მოთხრობის ჟანრს. იგი იყო მთელი ლიტერატურული სკოლის კანონმდებელი. მაგრამ მიმბაძველებმა ო. ჰენრის მოთხრობათა მხოლოდ გარეგნული ტექნიკური მანერა გადაიღეს, ვერც ერთმა მათგანმა მასწავლებელს ვერ აჯობა.

ბ. ეტინგინი.

გიორგი გიასელი

სიმღერა გაზეთზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(„კომუნისტს")

დილით მზეს ასწრებს ამოსვლას.
მოველ, რომ დამიბარეო,
შემოვიარე თვალუმალ
მსოფლიოს ყველა მხარეო,
ჰა, მოგიტანე ამბები,
დასტკბი და გაიხარეო.

კიდით-კიდემდე ზღვა მოვვლი
ხმელეთი და ჰაერიო,
ვნახე დასავლეთ ქვეყნებში
მტერს ვით ეკვეთა მტერიო,
აჰა, საბჭოთა ცხოვრებაც,
მე მასზე მუდამ ვმღერიო.

მოვა ფურცლების შრიალით,
ამბის მთხრობელი ბწკარები
აწყობილია ერთმანეთს,
როგორც ჩონგურის ლარები,
მოაქვს სტალინის მზის შუქი
და ხალხის დანაბარები.

მოვა და ოთახს აგივსებს
იებითა და ვარდებით,
მოვა, რომ გადაგიშალოს
სამშობლოს ცის ლაჟვარდები.

მოდი ნუ იტყვი სიმღერას,
მოდი და ნუ გახარდები!...

მისი მგზნებარე სიტყვები
შორიდან შორს გასწვდენია
მისი ფურცლები შრიალით
ვის გულს არ გადაჰფენია,
მას ხალხში სთესავს, აყვავებს
დიდი სტალინის გენია.

უყვარს გულღია სიმღერა,
სიცოცხლე — სიხარულია!
გვანახა ჩვენი გმირები
მზეთა-მზეს როგორ უვლიან,
რადგან ბელადის აზრები,
ჩვენს გულში ჩახატულია.

ხატავს სამშობლოს მთა-ველებს,
მისი მოამბე, მცველია
მასში, რომ აზრი იშლება
ხალხთაგან მონაბერია
ის სუნთქავს სტალინის სიბრძნით.
ის გამოაწრთო ბერიამ.

ქუთაისი.

სახელოვანო გაზეთო

(„კომუნისტს")

სახელოვანო გაზეთო,
„პრავდის" მოწაფედ ცნობილო,
სტალინის სიბრძნით ნაშობო,
ბერიას გამოწრთობილო!
გიმღერის ჩემი სამშობლოს
აყვავებული მთაბარი,
შენი განვლილი ოცი წლის
მხნეობით ნაამაგარი.
ყოველდღე თავზე დაგვნათი
დილის მზის ოქროს სხივებად,
შიგ სტრიქონები ბრწყინავენ
თვალმარგალიტის მძივებად.
შენ ჩვენი სულის საზრდო ხარ
და მტრების გულის ლახვარი,
ისე გვადნები ენაზე
როგორც ყინული-შაქარი.
აყვავებული ბაღი ხარ
გაუცდენელი ხეხილი,
სტალინურ სიტყვის ქარაგმა
ფოლადზე გადაგრეხილი.
რკინის ცოცხი ხარ, ზარმაცთა
აღმგველი გაუცვეთელი,
სოციალიზმის ფარხმალი
მისი ფოლადის კედელი.
ჩვენი ხალხისთვის თაფლი ხარ
თორმეტი სკიდან მდინარი,
სტახანოველი გმირების
აღმზრდელი, გამომჩინარი.
პრესის ფურცლებში კაშკაშებ,
როგორც ცისკარი ცაზედა,
შენი დანახვა მეტია
ნესტანის დანახვაზედა.
შენ ჩვენს გულს ისე იზიდავ,
ვით ანდამატი ლითონსა,
ან ავთანდილი ტარიელს
და ტარიელი ფრიდონსა.
დღეს შენს კომბინატს უწოდეს
ჩვენი ბერიას სახელი,
ვინც არის შრომის უმაღლეს
მიღწევის გამომსახველი.
ხარ და იქნები დუღაბი
ხალხთა ერთიან ძმობისა,
მარადიული გაზეთი
სტალინურ მეგობრობისა.

ს. ჩანგაშვილი

სოფ. ზემო-ხოდაშენი,
თელავის რაიონი.

საბჭოთა ბელორუსიის ხელოვნება

მინსკი, 1 ივნისი (საკდესი). ბელორუსული ხელოვნების დეკადა, რომელიც მოსკოვში გაიხსნა, თვალსაჩინოდ ასახავს აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკის მუსიკალური და თეატრალური კულტურის მთელს მრავალფეროვნობას და სიმდიდრეს.

ბელორუსიაში, სადაც დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე არ მოიპოვებოდა პროფესიული ხელოვნება, ამჟამად მარტო აღმოსავლეთ ოლქებში არის 17 თეატრი. შექმნილია სახელმწიფო ფილარმონია სიმფონიური ორკესტრით, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლით, გუნდით, ხალხურ ინსტრუმენტთა ორკესტრით. შარშან რესპუბლიკაში გაიხსნა სახვით ხელოვნებათა მუზეუმი და სურათების გალერია. ბელორუსიის დასავლეთ ოლქებში წინათ არ იყო ნაციონალური თეატრები. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის რამდენიმე თვის განმავლობაში აქ შექმნილია ორი ბელორუსული, ორი რუსული, ერთი ებრაული და ერთი პოლონური თეატრი. გარდა ამისა, ბელოსტოკში მოწყობილია ფილარმონია, მინიატიურის ორი თეატრი, მუსიკალური სასწავლებელი და სკოლები.

რესპუბლიკის ხელოვნების განვითარებაში უკანასკნელი წლების უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ბელორუსიის ოპერისა და ბალეტის დიდი სახელმწიფო თეატრის შექმნა.

ფართო ასპარეზი მიეცა ბელორუსი ხალხის მხატვრულ თვითშემოქმედებას. რესპუბლიკაში არის მრავალი დრამატიული, საგუნდო და საცეკვაო წრე. საუკეთესო საკოლმეურნეო მომღერალთა გუნდები და მოცეკვავეთა კოლექტივები, რომლებმაც შესრულების მაღალ ოსტატობასა და კულტურას მიაღწიეს, გამოვლენ უკანასკნელ კონცერტში თემაზე „აყვავებული გაერთიანებული სოციალისტური ბელორუსია".

დეკადა გვიჩვენებს აგრეთვე რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების მიღწევებს. მოსკოვში გამოფენაზე უძველეს ოსტატთა ნაწარმოებებთან ერთად წარმოდგენილ იქნება აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა და მოქანდაკეთა სურათები, ბელორუსიის სსრ დასავლეთ ოლქების მხატვართა საუკეთესო ნამუშევარი, ბელორუსული ხალხური შემოქმედების ნიმუშები. (საკდესი).

მრავალდაზგოსანთა ტექნიკური ცოდნის ამაღლება

მრავალდაზგოსნობისა და პროფესიათა შეთავსების განვითარება, დაზგების იმ ახალი ხელსაწყოებითა და მოწყობილობით აღჭურვა, რომლებიც იწვევენ მათი მუშაობის ავტომატიზებას, საგრძნობლად ართულებს დაზგების მართვას. ამასთან დაკავშირებით საკისართა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველ სახელმწიფო ქარხანაში ახლებურად დაისვა მუშათა ტექნიკური ცოდნის ამაღლების საკითხი.

ქარხანაში იწყება ამაღლებული ტიპის ტექნიკური სწავლების კურსების პირველი სამი ჯგუფის მეცადინეობა. ეს კურსები შექმნილია მრავალდაზგოსანთა და პროფესიების შემთავსებელთა დასახმარებლად.

კურსების პროგრამა აგებულია იმ ანგარიშით, რომ დაეხმაროს მუშებს მოკლე ვადაში აითვისონ სტახანოვური მეთოდები, ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია.

ამაღლებული ტიპის ტექნიკური სწავლების კურსები, შექმნილია გორგოლაჭების საამქროში, სახეხ საამქროში და ზუსტ საკისართა № 2 საამქროში. კურსები კომპლექტდება დაზგოსნებით, რომლებმაც უკვე გაიარეს სახტექმინიმუმი. (საკდესი).

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე

(სტალინირი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობის მუშაკებმა წარმატებით დაამთავრეს მიწის სამუშაოები და შეუდგნენ რელსების დაგებას მთელ ხაზზე. 2 ივნისისათვის რელსები დაგებული იყო გორიდან 15 კილომეტრზე.

წინასწარ გათვალისწინებული გეგმის მიხედვით რელსების დაგება გორიდან სტალინირამდე უნდა დამთავრდეს 15 ივნისს. ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს სოფ. შინდისთან და ვარიანთან. რელსების დაგების ოსტატები, კოლმეურნეთა ბრიგადები თავდადებულად მუშაობენ ამ საქმეზე. განსაკუთრებით გამოირჩევა გ. კოდოევის ბრიგადა, რომელიც ყოველდღიურ ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებს. კარგად მუშაობენ აგრეთვე ხნაურისა და ლენინგორის რაიონის კოლმეურნეები. ბრიგადებსა და ჯგუფებს შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება.

სერიოზული ყურადღება ექცევა რკინიგზის გასწვრივ ჭაობებისა და გუბეების ამოშრობას. ამ სამუშაოს წარმატებით ჩატარებაზე დიდად არის დამოკიდებული რკინიგზის ხაზის სიმტკიცე და გამტარუნარიანობა. გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს აგრეთვე ხიდ-ბოგირების მშენებლობის დასამთავრებლად. სტალინირის საწარმოო უბანზე უკვე დამთავრდა 4 ხიდის მშენებლობა.

დანარჩენ 17 კილომეტრზე რელსების დაგებისათვის წარმატებით იბრძვიან სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეები.

ფ. ინწკირველი

სტახანოველთა ახალი რეკორდები

სოხუმი („კომუნისტის" კორ.). აფხაზეთის ჩაის კოლმეურნეობათა სტახანოველები, რომლებიც საქმით გამოეხმაურნენ ქობულეთელთა მოწოდებას და ფართოდ გაშალეს სოცშეჯიბრება, ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევენ ჩაის კრეფაში.

ჩაის კრეფის პირველ დღეებშივე გამოვლინდნენ ახალი სტახანოველები, რომლებიც მუშაობაში ფართოდ იყენებენ ცაცა ქარდავას და ჟუშა ახუბას გამოცდილებას. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი კოშკის" სტახანოველმა, რაიონული საბჭოს დეპუტატმა მალაქია ლილიამ 20 მაისს მოკრიფა 260 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებულ 16 კილოგრამისა, დღიური ნორმა შეასრულა 1.625 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების დიდ მაჩვენებლებს იძლევიან ამავე კოლმეურნეობის სხვა სტახანოველებიც. კოლმეურნე ცუცა კიუტმა მოკრიფა 225 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, კოლმეურნე ხ. კიუტმა — 216 კილოგრამი. მეზობელ კოლმეურნეობებში გაიშალა მუშაობა აღნიშნულ სტახანოველთა ახალი გამოცდილების მასობრივად დანერგვისათვის.

ომი დასავლეთ ევროპაში

საომარი მოქმედების დღიური

3 ივნისი

2 ივნისს ბრძოლა დიუნკერკის ირგვლივ გრძელდებოდა. დიუნკერკიდან მოკავშირეთა ჯარების ევაკუაცია ისე ხდება, რომ მათ განუწყვეტლივ ტყვიას უშენენ გერმანიის ჯარის ნაწილები. შედარებით მცირე და სრულიად გაშლილ ადგილას თავმოყრილი დიდძალი სახმელეთო ჯარის უკანდახევა, თავისი უაღრესი სირთულით ომის ისტორიაში უმაგალითო, დიდ ზარალს იწვევს როგორც მოკავშირეთა ჯარებს შორის, რომლებიც უკან იხევენ, ისე გერმანიის ჯარშიაც, რომელიც უტევს. საფრანგეთისა და ინგლისის არმიების საუკეთესო ნაწილები ხელს უწყობენ ჯარების დახევას, რისთვისაც იყენებენ ადგილმდებარეობას, არხებსა და ხელოვნურ ნაგებობებს.

გერმანიის ჯარის ნაწილების ცეცხლის მთელი სიძლიერე მიმართულია ქალაქ დიუნკერკისაკენ, რომელსაც გამუდმებით უშენს გერმანიის მძიმე არტილერია და განუწყვეტლივ აყრიან ყუმბარებს მოპიკირე ყუმბარმშენები.

2 ივნისის განმავლობაში გერმანიის ჯარმა, ავიაციის დახმარებით, ხანგრძლივი საარტილერიო მომზადების შემდეგ დაიკავა მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი ბერგი (დიუნკერკის სამხრეთით 10 კილომეტრის მანძილზე). ამ პუნქტის დაკავების შემდეგ ქალაქ დიუნკერკს გერმანიის ჯარის ნაწილების უშუალო შეტევის საშიშროება მოელის, ვინაიდან დიუნკერკის სამხრეთით უკვე აღარ არის გამაგრებული პუნქტები, რომელთა გამოყენებასაც შესძლებდნენ მოკავშირეები თავდასაცავად.

გერმანიის ავიაცია დიუნკერკის რაიონში გაძლიერებით უშენს ყუმბარებს ინგლისელთა სამხედრო-საზღვაო ძალებს, რომლებიც შორსმსროლელი ქვემეხების გადამღობი ცეცხლით იფარავენ მოკავშირეთა ჯარების უკანდახევას.

დიუნკერკის ოპერაციამ გააჭიანურა ინგლის-საფრანგეთის ჯარების საბოლოო განადგურება ჩრდილოეთ საფრანგეთში. მაგრამ რაც უნდა მედგრად იბრძოდნენ ამ რაიონში მოკავშირეთა ჯარები, ბრძოლის ბედი ჩრდილოეთ საფრანგეთში უკვე გადაწყვეტილია. მოკავშირეთა სარდლობა ამჟამად ცდილობს მოახდინოს მდგომარეობის სტაბილიზაცია სომა-ენის ფრონტზე და ამ მიზნით გაძლიერებით ამაგრებს თავის ახალ თავდაცვითს საზღვრებს.

მოკავშირეთა ავიაცია 1 და 2 ივნისის განმავლობაში აქტიურ მოქმედებას განაგრძობდა დიუნკერკის რაიონში. საფრანგეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს რკინიგზებს, ხიდებსა და მტრის ცოცხალ ძალას აბვილის რაიონში. ინგლისის ავიაცია თავს დაესხა გერმანიის ქალაქებს, კერძოდ გამასა და ოსნაბრიუკს. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე სამხედრო ობიექტებს ოსტენდესა და ბერგენში.

მდგომარეობა კალეში

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). ლონდონში მიღებული ცნობებით ინგლის-საფრანგეთის მცირერიცხოვანი გარნიზონი კვლავ ინარჩუნებს კალეში ძველთა-ძველ სიმაგრეს, რომელიც უკვე ერთ კვირაზე მეტია გარშემორტყმულია გერმანიის ჯარით. ინგლისის თვითმფრინავები სიმაგრის გარნიზონს პარაშუტებით აწვდიან სურსათსა და საომარ მასალას. სიმაგრე აშენებულია 1641 წელს და მას შემდეგ ერთხელაც არა ყოფილა განახლებული. სიმაგრის ღრმა კაზემატები წარმოადგენენ საუცხოო თავშესაფარს ბომბარდირებისაგან, ხოლო თხრილები, რომლითაც გარშემორტყმულია სიმაგრე, ტანკებისათვის გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენენ.

პარიზის რაიონის ბომბარდირება

პარიზი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პარიზში გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „3 ივნისს ნაშუადღევს პარიზის რაიონს რამდენჯერმე დაუშინეს ყუმბარები. ბომბარდირებას, როგორც სჩანს, უნდა დაეზიანებინა სამხედრო მნიშვნელობის ობიექტები. გადმოჰყარეს ყველა ზომის 1000-ზე მეტი ყუმბარა. მსხვერპლი 200 კაცს უდრის. მათ შორის მოკლულია 45 კაცი“.

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, დღეს ნაშუადღევს გერმანიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს პარიზის აეროდრომს —ისი ლე მულინოს. გერმანიის ავიაციამ იერიში მიიტანა აგრეთვე სხვა აეროდრომებსა და საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის ნაგებობებზე პარიზის გარეუბნებში.

გერმანიის ავიაციის თავდასხმა პარიზზე

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო პარიზიდან იუწყება, საჰაერო განგაშის დროს ქალაქის თავზე გამოჩნდა გერმანიის მრავალი თვითმფრინავი. მათ წინააღმდეგ იერიში მიიტანეს საფრანგეთის თვითმფრინავებმა და სროლა აუტეხა საზენიტო არტილერიამ. განგაში ერთ საათს გაგრძელდა.

გერმანიის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა პარიზის გარეუბანს. გერმანიის თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი რამდენიმე ყუმბარა მოხვდა უაღრესად მნიშვნელოვან შენობას, მაგრამ საფრანგეთის ცენზურამ სააგენტოს კორესპონდენტს აუკრძალა ამ შენობის დასახელება თავის ცნობაში.

გერმანია უარყოფს

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო უარჰყოფს ჰავასის სააგენტოს ცნობას, თითქოს დღეს ნაშუადღევს გერმანიის ავიაციას ქალაქ პარიზის შიდა ნაწილში ჩამოეგდოს რამდენიმე ყუმბარა და რომ ეს ყუმბარები მოხვდა კერძო სახლებს, რომლებიც სამხედრო ობიექტებისაგან მოშორებით მდებარეობენ.

გერმანიის მხარე ოფიციალურად აცხადებს, რომ ისი ლე მულინოს აეროდრომისა და სხვა აეროდრომების, აგრეთვე პარიზის მიდამოებში აეროფლოტის ნაგებობათა გარდა, გერმანიის ავიაციას ქალაქის არავითარი სხვა ნაწილებისათვის ხრ დაუშენია ყუმბარა.

ხმები ტანჟერში საფრანგეთის ჯარის მოსალოდნელი გადასხმის შესახებ

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან იუწყება, რომ უკვე ორი დღეა, რაც ტანჟერში დაჟინებით ვრცელდება ხმები, თითქოს საფრანგეთს განზრახვა აქვს გადასხას ჯარი ტანჟერში, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს ესპანეთის პრეტენზიებს გიბრალტარის მიმართ.

ამერიკის კომპარტიის საარჩევნო პროგრამა

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). ამერიკის კომპარტიის ყრილობამ მოიწონა პარტიის საარჩევნო პროგრამის პროექტი. გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, რომ ეს პროგრამა მოუწოდებს იმპერიალისტური ომისა და კაპიტალისტური რეაქციის ყველა მოწინააღმდეგეს დააწესონ მშვიდობიანობისა და სამუშაოსათვის, უშიშროებისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის საბრძოლველად მოქმედების ერთიანობა, რასაც ხელმძღვანელობას გაუწევენ მუშები. პროგრამას საბოლოო რედაქციას გაუკეთებს სპეციალური კომისია. პროგრამის პროექტი მოითხოვს ომის იმპერიალისტური გამჩაღებლებისათვის დახმარების შეწყვეტას, რეაქციული ელემენტების ანტისაბჭოთა პროვოკაციების შეწყვეტას, ხელფასის გადიდებას, სამუშაო დღის შემცირებას, მოხუცებულთათვის პენსიების მიცემას, ფერმერებისათვის დახმარების გაწევას, ზანგებისათვის თანასწორუფლებიანობის მინიჭებას. „კომუნისტური პარტია, — ნათქვამია პროგრამის პროექტში, — მხარს დაუჭერს თვითეულ ნაბიჯს, რომელიც გადადგმული იქნება იმისათვის, რომ მასები დარაზმულ და გაერთიანებულ იქნან მშვიდობიანობის სახალხო პარტიად — ფერმერთა და მუშათა პარტიად“.

ყრილობამ ხელახლად აირჩია ბრაუდერი პარტიის გენერალურ მდივნად და ფოსტერი—პარტიის თავმჯდომარედ.

საომარი მზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა მარშალმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ „დასავლეთ ნახევარსფეროში ამბების საშიში განვითარების შესაძლებლობამ“ აიძულა რუზველტი თხოვნით მიემართნა კონგრესისათვის, რომ მან უფლება მიანიჭოს პრეზიდენტს კონგრესის დათხოვნის დროისათვის მოახდინოს ნაციონალური გვარდიის მობილიზაცია, როცა ეს საჭირო იქნება „ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისა და ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის“. ამ განცხადებამ შეშფოთება გამოიწვია კონგრესის ზოგიერთ წრეებში, მათ შორის დემოკრატიული პარტიის გავლენიან წევრებშიც. ნაციონალურ გვარდიას, რომელიც 48 შტატის სამხედრო ნაწილებისაგან შესდგება, დაახლოებით 225 ათასი კაცი ჰყავს და მას ინახავენ ცალკეული შტატები და ფედერალური მთავრობა. რეგულარული არმიისაგან განსხვავებით, რომლის უმაღლესი მთავარსარდალი პრეზიდენტია, ნაციონალური გვარდიის გამოყენება პრეზიდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ სახელმწიფოში მტერი შემოიჭრა ან აჯანყება მოხდა. პრეზიდენტს არ შეუძლია ნაციონალური გვარდიის ნაწილების გაგზავნა საზღვარგარეთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამისოდ სპეციალური ნებართვა აქვს მიღებული კონგრესისაგან. ამიტომ რუზველტის თხოვნამ მრავალგვარი მითქმა-მოთქმა და სერიოზული შიში გამოიწვია ამ საომარი მზადების გამო. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, დემოკრატმა სენატორმა უილერმა მკაცრად გააკრიტიკა პრეზიდენტის წინადადება.

უილერი ჰგმობს იმ პროპაგანდას, რომელიც მიზნად ისახავს „გაღვივოს ხალხში საომარი ციებ-ცხელება“ და მოუწოდებს ამ პროპაგანდის წინააღმდეგ მასობრივი პროტესტისაკენ. უილერი აცხადებს, რომ მან დიდძალი დეპეშა მიიღო, რომლებითაც მას ეკითხებიან: ხომ არ ამზადებს მთავრობა ამერიკის შეერთებულ შტატების ომში ჩაბმას.

ცნობილმა რესპუბლიკელმა სენატორმა ოსტინმა განაცხადა, რომ კანონი უფლებას არ აძლევს პრეზიდენტს გაიწვიოს ნაციონალური გვარდია „ნეიტრალიტეტის დასაცავად“. ოსტინმა სთხოვა რუზველტს მიაწოდოს ინფორმაცია კონგრესს, თუ სად და რა შემთხვევებში მოხდა ნეიტრალიტეტის დარღვევა. „თუ ეს გიგანტურ ბლეფს წარმოადგენს, —განაცხადა ოსტინმა, — მაშინ მე მას მხარს არ დავუჭერო“. ოსტინი წინათ მხარს უჭერდა რუზველტის ყველა საომარ ღონისძიებას და მის საგარეო პოლიტიკურ ღონისძიებათა მეტ ნაწილს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“, ეხება რა მარშალის გამოსვლას, სწერს: „შტაბის ხელმძღვანელის ამ განცხადებამ დიდი მღელვარება გამოიწვია კონგრესის წრეებში. ეს განცხადება, ალბათ, ადასტურებს დაჟინებით გავრცელებულ ხმებს, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს ამერიკის ჯარისკაცების გაგზავნა სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, რათა დახმარება აღმოეჩინოს „ზოგიერთ მთავრობას „მეხუთე კოლონის“ წინააღმდეგ ბრძოლაში“. ზოგიერთი ქვეყნის მეტად გავლენიან წრეებში, — აღნიშნავს გაზეთი, — ფიქრობენ, რომ ბრაზილიასა, ურუგვაისა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში აეროდრომებისა და ნავსადგურების დაცვის მიზნით დახმარების გასაწევად შეიძლება საჭირო გახდეს 25 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. ვაშინგტონის ოფიციალური წრეები სერიოზულად იხილავენ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება შეიქმნას გრენლანდიაში, აგრეთვე მოკავშირეთა კოლონიურ სამფლობელოებში, თუ საფრანგეთი და ინგლისი დამარცხდებიან.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, დემოკრატმა სენატორმა მინტონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, შესაძლოა, განიხილავენ საკითხს ბერმუდის კუნძულებზე და ინგლისისა და საფრანგეთის სხვა სამფლობელოებში ჯარის გაგზავნის შესახებ.

ეხება რა მარშალის განცხადებას, სააგენტო აღნიშნავს, რომ მთავრობა შეშფოთებულია რევოლუციური მღელვარებით, რასაც ადგილი აქვს მექსიკაში. „კანონით აკრძალულია ნაციონალური გვარდიის გაგზავნა საზღვარგარეთ, მაგრამ მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტს შეეძლო გაეგზავნა ნაციონალური გვარდიის რეზერვისტები პანამის არხსა და პორტორიკოში იმ რეგულარული ჯარის ნაწილების ნაცვლად, რომლებიც ამ გარნიზონებიდან სხვა ადგილებში გადაიყვანეს“.

ლათინური ამერიკის წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო დემონსტრაციას თან სდევს პრესის აქტიური პროპაგანდა ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანაში ეგრეთწოდებული „მეხუთე კოლონის“ მოქმედების შესახებ და, როგორც სჩანს, ტარდება იმ განზრახვით, რომ მოამზადოს ჩრდილოეთისა და სამხრეთ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა ღონისძიებებისათვის, რომლებიც მონროეს დოქტრინის დაცვის საბაბით გატარდება.

საომარი მზადება ალჟირში

ბერლინი, 3 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ალჟირში დიდი მუშაობა მიმდინარეობს სიმაგრეების ასაგებად. ქალაქის უმნიშვნელოვანეს კვარტალებში სანგრების თხრას აპირებენ.

სოულიად - საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ასსრ კურსანტების ჯგუფი ათვალიერებს გამოფენას.

ფოტო გ. ლვოვისა (საკდესის ფოტოკლიშე)

აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისათვის

აკაკი წერეთლის საიუბილეო პლენუმზე

22 და 23 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირი აწყობს საიუბილეო პლენუმს მიძღვნილს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების გამო. მიღებულია ცნობა, რომ საიუბილეო პლენუმში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვლენ სსრკ მწერალთა კავშირის წარმომადგენლები ა. ტოლსტოი, ა. კორნეიჩუკი, ი. კუპალა, ი. ლუპოლი, პ. პავლენკო, ლ. ლეონოვი, ა. ფადეევი, ვ. გოლცევი, მ. ბაჟანი, ნ. ტიხონოვი, ს. სპასსკი, ი. კოლასი, გაფურ გულიამი, ბ. პასტერნაკი, ბ. ბრიკი და სხვ.

„პატარა კახი“ ქართულ სცენაზე

აკაკი წერეთლის ცნობილი ისტორიული დრამა „პატარა კახი“ სცენაზე დასადგმელად ნება დართულ იქნა 1889 წლის 1 დეკემბერს.

პირველად „პატარა კახი“ დაიდგა თბილისის ქართულ თეატრში 1890 წლის 30 დეკემბერს (ახალი სტილით). გაზეთი „ივერია“ 26 დეკემბერს იუწყებოდა, 30 დეკემბერს ქართულ თეატრში აკაკი წერეთლის ახალი პიესა „პატარა კახი“ დაიდგმებაო. პიესას დიდი წარმატება ჰქონდა. „ივერიის“ სიტყვით, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დიდძალმა ხალხმა რამდენჯერმე გამოიძახა პიესის ავტორი, რომელიც წარმოდგენას დაესწრო.

პირველი დადგმის დროს პატარა კახის როლს ასრულებდა გ. ხუციშვილი, ტურფას როლს—ბ. ავალიშვილი, ბრმა გლეხს როლს — ვ. გუნია, თეიმურაზ მეორისას—ვ. აბაშიძე, ქვაბულიძისას—ს. სვიმონიძე, ბაადურისას — გ. ბედევანოვი, გივისას — კანდელაკი და ბებურიშვილისას კ. შათირიშვილი.

1890 წლიდან მოკიდებული „პატარა კახი“ ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და ქართული თეატრის მშვენება იყო.

დრამა „პატარა კახი“ იდგმებოდა 1903-1904 წლის სეზონში, როდესაც ქართული თეატრის რეჟისორად აკაკი წერეთელი იყო. ამ სეზონში დრამა პირველად დაიდგა 1903 წლის 18 ოქტომბერს. პიესაში მონაწილეობას იღებდნენ: მსახიობები — ქალები ნ. დავითაშვილი, ნ გამყრელიძე, ნ. ყიფიანი, მსახიობები ვ. გამყრელიძე (ბრმა გლეხს როლის უბადლო შემსრულებელი), ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ვ. მატარაძე, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

ქართული თეატრები ემზადებიან აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისათვის და თავიანთ რეპერტუარში შეიტანეს „პატარა კახი“. პიესა წარმატებით იდგმებოდა ქუთაისის, თელავის, ონისა და სხვა თეატრებში. იუბილეს დღეებში „პატარა კახი“ რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგმება. (საქდესი).

საზაფხულო სეზონი წითელი არმიის სახლის ბაღში

5 ივნისს გაიხსნება სეზონი წითელი არმიის სახლის ბაღში. ბაღი კარგად არის მოწყობილი კულტურული დასვენებისათვის. გასულ წელთან შედარებით იგი გამდიდრებულია სხვადასხვა გასართობებით. აქ არის სამკითხველო, ხმოვანი კინოთეატრი, ტირი, საბილიარდო, საცეკვაო მოედანი, ბაღში იმუშავებს ჟურნალ-გაზეთების, გამაგრილებელი წყლებისა და ნაყინის გამსაღებელი კიოსკები.

5 ივნისს ბაღში გაიხსნება წითელი არმიის სახლის პარტიული კაბინეტის ფილიალის სალექციო დარბაზი, აქ ყოველდღიურად ჩატარდება ლექციები, მოხსენებები, სემინარი და აგრეთვე იწარმოებს კონსულტაცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის საკითხებზე, საერთაშორისო საკითხებზე, პარტიისა და მთავრობის მიმდინარე გადაწყვეტილებებზე.

სეზონის გახსნის დროს ესტრადაზე გამოვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერებისა და ცეკვის წითელარმიული ანსამბლი, რომელიც შეასრულებს წითელარმიულ და სსრ კავშირის ხალხთა სიმღერებსა და ცეკვებს, კლასიკოს და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. ანსამბლს ხელმძღვანელობს ე. ნ. გარკუნოვი, ცეკვების დადგმა ეკუთვნით ორდენოსან ს. ნონიაშვილს და ს. სოლომოვს.

სეზონის განმავლობაში ბაღში მოწვეული არიან საბჭოთა კავშირის საუკეთესო მხატვრული ძალები. ბაღში ყოველდღიურად დაუკრავს სამხედრო სასულე ორკესტრი იმუშავებს აგრეთვე პირველხარისხოვანი რესტორანი.

წყალჯომარდობის სეზონის გახსნა

6 ივნისს თბილისის ფიზკულტურის კომბინატში იხსნება წყალჯომარდობის სეზონი. სეზონის გახსნისათვის უკვე მომზადებულია საბანაო აუზი, შხაპები, გასახდელი ოთახები. სეზონის გახსნის აღსანიშნავად მოეწყობა ფიზკულტურელთა შეჯიბრება სხვადასხვა დისტანციაზე ცურვაში, წყალში ხტომაში და სხვ.

30 მაისს წყალჯომარდობის სეზონი გაიხსნა ბათუმში. სეზონისათვის მომზადებულია საზოგადოება „პიშჩევიკის“ წყალჯომარდობის სადგური, სადაც ყოველდღიურად მიმდინარეობს ნორმების ჩაბარება ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ეწყობა შეჯიბრება ნიჩბოსნობაში, ცურვასა და წყალში ხტომაში. სადგური საუკეთესოდ არის მოწყობილი. მოწყობილია აგრეთვე დასასვენებელი ოთახები, ბიბლიოთეკა. სადგური უზრუნველყოფილია ყოველგვარი სასპორტო ინვენტარით, სხვადასხვა ტიპის ნავებით, იალქნებითა და სხვ.

ფეხბურთი

„დინამოს“ და „ლოკომოტივის“ მატჩი

3 ივნისს თბილისის ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა საჩვენებელი გუნდების მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

ბრძოლა მეტად დაძაბული იყო. პირველ ტაიმში „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა ერთი ბურთი გაიტანეს „დინამოს“ კარში და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 1:0 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ. მეორე ხახევარში დინამოელები გააფთრებით იბრძოდნენ დამარცხების თავიდან აცილებისათვის და შედეგსაც მიაღწიეს. მათ შესძლეს ბურთის გაქვითება და ამგვარად მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1.

5 ივნისს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი მიემგზავრება მოსკოვს, სადაც 11 ივნისს შეხვდება მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდს. 16 ივნისს კი კიევში შეხვდება ადგილობრივ „დინამოს“ ფეხბურთელებს. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს წარმომადგენლად მიჰყვება სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გოლშტეინი.

O

თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი ამ დღეებში გაემგზავრება კიევს, სადაც 11 ივნისს შეხვდება კიევის „დინამოს“ გუნდს.

დისერტაცია გამოფენას მიეძღვნა

ამ დღეებში თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამხ. ნიკოლოზ სერგოს-ძე ლომსაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „საკოლმეურნეო საკუთრება, როგორც ფორმა სოციალისტური საკუთრებისა“, ამხ. ნ. ლომსაძემ დისერტაციის დაწერა და მისი დაცვა მიუძღვნა 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნას.

ა/წ 28 მაისს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს 19 მაისის დადგენილება და ამხ. ნ. ლომსაძეს მიანიჭა იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

რკინიგზის სადგურების რადიოფიკაცია

ამიერკავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზაზე გრძელდება მუშაობა დიდი სადგურების რადიოფიკაციისათვის. მიმდინარეობს სადგურების: სამტრედიის, რიონის, ბორჯომის, ნავთლუღისა და ევლახის რადიოფიკაცია. თვითეულ ამ სადგურში დაიდგმება 30 უატის სიმძლავრის რადიოკვანძი. სარადიოფიკაციო მუშაობა დამთავრდება მგზავრთა ზაფხულის მიმოსვლის დაწყებისათვის. ამ სადგურებში რადიო გადასცემს მატარებლების ჩამოდგომისა და გასვლის ცნობებს, კონცერტებს, საუბრებს, პოლიტიკურ ინფორმაციას და სხვ. ამჟამად რადიოკვანძი აგებულია და მოქმედებს 7 სადგურში — ბაქოში, თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ლენინაკანსა და კიროვაბადში. (საქდესი).

„კომუნისტის“ რედაქციის მუშსოფკორთა კაბინეტში

(ლენინის ქუჩა № 28) მე-4 სართული, ოთახი № 17,

დღეს, 5 ივნისს საღამოს 8 საათზე გაზ. „კომუნისტის“ რედაქციის მუშსოფკორთა კაბინეტში თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის, ტრამვაისა და ტროლეიბუსების ტრესტისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ძირეული პრესის მუშაკებისა და მუშკორთა აქტივისათვის შესდგება მოხსენება თემაზე:

ბეჭდვითი სიტყვის პავილიონი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

(მომხსენებელი ამხ. ა. კოკილაშვილი).

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ინსტრუქტორ ამხ. შეროზიასთან (ძერჟინსკის ქუჩა № 8, მეორე სართული, ოთახი № 14) 3 დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდნენ: ვერა გედევანის-ასული ლომინეიშვილი, მახმუდ ბეკოს-ძე ხერგიანი, ერმილე მატკუს-ძე საგლიანი, ალექსანდრე გიორგის-ძე ზაიდაშვილი, ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძე, ზაქარია სიმონის-ძე კვერცხიშვილი, აკაკი რაჟდენის-ძე ბურკაძე და ივანე ვლადიმერის-ძე ელბაქიძე.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1534157, გაცემული გალაქტიონ ივანეს-ძე გიორგაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის სახელობის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 0714848, გაცემული აბრამ გრიგოლის-ძე კამალიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა „აიდა“, **რუსთაველის სახელობის** — „გრაფის ქვრივი“, **მარჯანიშვილის სახელობის**—„მზის დაბნელება საქართველოში“, **გრიბოედოვის სახელობის**—„სახიფათო მოსახვევი“, **სახესტრადის საზაფხულო თეატრი** — მოსკოვში სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა ხალხური სიმღერებისა და ცეკვების სახელმწიფო ანსამბლის გასტროლები, **ღია ესტრადა** — ესტრადის მსახიობთა საღამო - კონცერტი, **ორჯონიკიძის სახ. კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი**—საღამო-კონცერტი ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატების ვასო გოძიაშვილის და ოლღა დოლიძის მონაწილეობით.

კინოებში: რუსთაველის სახ. — „დაგვიანებული სასიძო“, **ოქტომბერი**—„მშვენიერი ვასილისა“, **დამკვრელი** (საზაფხულო) — „დაგვიანებული სასიძო“, **დამკვრელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, **კომკავშირელი** (საზაფხულო) — „დაგვიანებული სასიძო“, **კომკავშირელი** (ზამთრის) — „დაგვიანებული სასიძო“, **ლუქსემბურგის სახ.** — „მეთაურთა ახალგაზრდობა“, **26 კომ. სახ.** — „კენდლილიარ“, **კომინტერნი** — მშვენიერი ვასილისა“, **ორჯონიკიძის სახ. პარკი**—„ტრაქტორისტები“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი

5 და 6 ივნისს

ორი სადღესასწაულო სეირნობა

„საქართველოს სიმღერები და ცეკვები“ ასრულებს გუნდი ვასო კობახიძის ხელმძღვანელობით, მასობრივი თამაშობანი, ცეკვები, ბაიანი დუდუკი და სხვ.

5 ივნისს, საღამო-კონცერტი ესტრადის სრულიად-საკავშირო კონკურსის ლაურეატების დამსახ. არტისტ ვასო გოძიაშვილის, ოლღა დოლიძისა და სახესტრადის და სახოპერის სხვა მსახიობებისა დასაწყისი საღამოს 9 ს. 15 წ.

6 ივნისს კონცერტი მსახიობების თ. ბახტაძის, გრ. ვენაძის, სალარაძე—ჯაფარიძის, სვანიძე—კობელის, ნ. ხარაძის, შუხის და სხვ. მონაწილეობით დასაწყისი საღ. 9 ს. 15 წ.

6 ივნისს დილა ბავშვებისათვის ორკესტრები, კარუსელი, თამაშობანი. საბავშვო რკინიგზა. საქ. სახელმწიფო თოჯინების თეატრის წარმოდგენები. „ექიმი აიბოლიტი“ საცირკო ატრაქციონი. დასაწყისი დღის 12 ს.

საცირკო ატრაქციონი 3 მაცაბერიძე 3 დასაწყისი 9 ს. 20 წ.

ყვავილთა ბაღი ცოცხალი ყვავილები, კონფეტი, სერპანტინი და სხვ. დასაწყისი 9 ს. 30 წ.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1939—40 წ. სეზონი.

დილის წარმოდგენა 6 ივნისს

პ. კაკაბაძე
ყვარყვარე თუთაბერი
კომედია 4 მოქმ.

დადგმა—კ. მარჯანიშვილის, აღადგინა—გ. მრავლაძემ, მხატვარი—ე. ახვლედიანი (ორდენოსანი), მუსიკა—რ. გაბიჩვაძისა.
დასაწყისი დღის 12 საათზე. 80

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 20 ივნისს, საღამოს 7 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) გეოლოგიის აუდ. № 120, გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ა. ლ. ცაგარელი — მინერალოგია — გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—„**დასავლეთ საქართველოს ცარცული ინოცერამები**“.

ოფიციალური ოპონენტები: მინერ.-გეოლ. მეც. დოქტორი, პროფ. **ა. ი. ჯანელიძე.**
მინ.-გეოლ. მეც. კანდ. დოცენტი **ი. კახაძე.**

მ. ს. ერისთავი—მინერალოგია-გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—„**ქუთაისის მიდამოების ცარცის შუა ნაწილის სტრატიგრაფია**“.

ოფიციალური ოპონენტები: მინერ.-გეოლ. მეცნ. დოქტორი, პროფ. **ა. ი. ჯანელიძე.**
მინ.-გეოლ. მეცნ. კანდიდატი, დოც. **პ. გამყრელიძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორი **დ. უიფშიძე.**
52

„საკონცერტო და საესტრადო ღონისძიებებით მშრომელთა მომსახურების მოწესრიგების მესახებ“

საქ. სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 20 მარტის დადგენილების საფუძველზე საქსახესტრადა აცნობებს თბილისის ყველა მემუსიკეს (როგორც ევროპულს, ისე აღმოსავლურს), რომ ისინი

უნდა გატარდნენ სახესტრადასთან არსებულ გამსინჯავ საკვალიფიკაციო კომისიაში.

საკვალიფიკაციო კომისია მუშაობს ყოველდღე საქსახესტრადის შენობაში (პლეხანოვის, 123) დღის 2 საათიდან საღამოს 5 საათამდე, დაწყებული ა. წ. 7 ივნისიდან.

როგორც კოლექტივების, ისე ცალკეულ მემუსიკეთა გამოცხადების წესი:

1) 7 ივნისს ყველა ჯაზ-ორკესტრის მემუსიკეთა გასინჯვა,
2) 9 ივნისს სასულე ორკესტრების მემუსიკეთა გასინჯვა,
3) 12 ივნისს სიმებიანი ორკესტრების მემუსიკეთა გასინჯვა.
4) 15 ივნისს იმ აღმოსავლურ მემუსიკეთა გასინჯვა, რომელთაც წინათ არ გაუვლიათ კვალიფიკაცია.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებთანაც მუშაობენ როგორც ცალკეული მემუსიკენი, ისე მემუსიკეთა ჯგუფები, ვალდებული არიან გაათავისუფლონ სამუშაოდან ყველა ის მემუსიკე, ვინც 25 ივნისამდე არ წარადგენს ცნობას საქსახესტრადის გამსინჯავ საკვალიფიკაციო კომისიაში გატარების შესახებ.

105 დირექცია.

დედა ნინო, და ლილი, ბაბო ანა, დეიდა თამარ, პაპები მიხეილ, ისაკი, ბიძები, ძალო იუწყებიან, რომ 6/VI გორში 1 ს. დანიშნულია
თენგიზ ქეჩხუაშვილის
პანაშვიდი. 6651

თბილვაჭრობის დირექცია და ცენტრალური აპარატის ადგილკომი იუწყებიან საფინანსო-საკონტროლო განყოფილების თანამშრომლის
ვლასი ილარიონის-ძე ძაბიძის
გარდაცვალებას. 6666

მშობლები თამარ, აპოლონ მეძველიები იუწყებიან, რომ 6/VI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
გურამ აპოლონის-ძე მეძველიას
სამოქ. პანაშვიდი. 6653

ნიკოლოზ გიორგის-ძე აბდუშელიშვილი იუწყება, რომ 6/VI 12 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია მეუღლის
მარიამ ათანასეს-ასულ აბდუშელიშვილის
პანაშვიდი. 6656

ლოლაძე, მგალობლიშვილი, კვირიკაძე, ლანდია, ნიკოლაიშვილი, ტურაბელიძე, ჯაფარიძე, კახიანი, კანდელაკი, გოგორიშვილი, მგალობლიშვილი, ახვლედიანი, კუტაიძე, ჩიკვაიძე იუწყებიან ფარმაცევტ
გიორგი დავითის-ძე კილაძის
გარდაცვალებას. 6653

მშობლები თამარ ასისთვიშვილი-პატიაშვილისა და ალექსი პატიაშვილი იუწყებიან, რომ 6/VI 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ბივიკოს
სამოქ. პანაშვიდი. 6667

ქმარი ანდრო სამსონის-ძე თაბაგარი იუწყება ექიმ
კატუშა აკაკის-ასულ ახვლედიანი-თაბაგარის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7/VI 8 ს. ბაიაზეთის, 20, გამოსვენება 8/VI 5 ს. ვაკის სასაფლაოზე. 6655

დედა ნინო თაქთაქიშვილი, და გულნარა ჯაფარიძისა, მეუღლე შურა ნუგზარით იუწყებიან, რომ 6/VI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ელიკო ივანეს-ასულ ნასიძე-საანიშვილის
პანაშვიდი. 6657

სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომლები ნათაძე, ყანჩელი, ბერულავა, კაციტაძე, ხაჩიძე, კაკილაშვილი, კეკენჯია, ასათიანი, თევზაია, დაშნიანი, ძამიაშვილი იუწყებიან პროფესორ ეფრემ ზაქარაიას მეუღლის
ტატიანას
გარდაცვალებას. 6660

ცოლი ოლღა, შვილები ნინა, ქეთო, მარგო, მიშა, ირაკლი, რძლები მარგო, ვერა, სიძეები პეტრე წივწივაძე, გიორგი ტივაძე იუწყებიან, რომ 6 ივნისს 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ევნატე ისაკის-ძე მენთეშაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი.

ლავრენტი ჩხენკელი შვილებით, ივანე, ევგენია პურადაშვილები შვილებით, ალიოშა არდიშვილი იუწყებიან, რომ 6/VI 6½ ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
მარუსია პურადაშვილი-ჩხენკელის
პანაშვიდი. 6664

შვილები გიორგი, ლენტორი, ვალიკო, შალვა ცოლშვილით, ლიუდმილა, მარუსია, ნინო ქმარშვილით, ალექსანდრა და თამარ იუწყებიან
ევა ფარსადანის-ასულ დემეტრაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ბაღდათში. 6665

პროფესორ ზაქარაიას კლინიკის ექიმები ინასარიძე, ყურაშვილი, ქადაგიძე, თოდაძე, მიქელაძე, მგელაძე, პაპკორია, ნემჩინსკაია, აფაქიძე, ქორიძე-ვაშაკიძე, უზნაძე იუწყებიან პროფესორ ზაქარაიას მეუღლის
ტატიანას
გარდაცვალებას. 6663

არტელ „დაზგათმშენებლის“ მუშამოსამსახურენი იუწყებიან თანამშრომლის
ილია გიორგის-ძე გელაძის
გარდაცვალებას. 6654

მშობლები ქეთო, იასონ ხუციშვილები იუწყებიან, რომ 6/VI 1 ს. კუკიის სასაფლაოზე შესდგება
დოდო ხუციშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი. 6661

ძმები გერმანე და გიორგი, რძლები ოლია, ანიკო, ნადია ჭელიძეები, დეიდაშვილი დარეჯან გოლიაძე იუწყებიან
ანეტა თედორეს-ასულ ჭელიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ბაღდათში.

შვილები გიორგი, დიდრო, მაკრინე, ლიდა, რძალი მეტია, სიძეები გერასიმე და მელიტო შვილებით იუწყებიან
პელაგი ღლონტის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 საათზე, წილკანის 3, დაკრძალვა 7/VI 4 საათზე.

დავით აჯიაშვილი ცოლით სონათი, შვილებით აბესალომით, სოლომონით, გაბრიელით და რახილით, რძლით ანათი იუწყება პროფ. ე. ზაქარაიას ცოლის
ტატიანა ზაქარაიას
გარდაცვალებას. 6615

აკაკი ვასილის-ძე ახვლედიანი შვილებით ნუცათი, გოგუცათი, თამარით იუწყება შვილის
ექიმ კატუშა ახვლედიანი-თაბაგარის
გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VI 5 ს. ბაიაზეთის, 20, პანაშვიდი 6, 7/VI 8 ს. 6662

მეუღლე ანდრო, შვილები ნიკო, გიორგი, ანა, მათიკო, რძლები მაშიკო, ნინო კაიშაურები, და ნინო გოჯიაშვილი, სიძე ს. ქავთარაძე იუწყებიან, რომ 6/VI 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
დარია გიორგის-ასულ კაიშაურის
პანაშვიდი. 6659

მამა პეტრე, ძმები გოგი და ნიკოლოზ იუწყებიან, რომ 6/VI 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია აოოფესორ
ალექსანდრე ცაგარელის
სამოქ. პანაშვიდი. 6648

დედა ელენე მახარაძე შვილებით იუწყება
შალვა ფილიპეს-ძე მახარაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VI 6 ს. გორკის, 25, პანაშვიდი 5/VI 7 ს. 6651

მშობლები ნინო, დათიკო, ძმა ლეო, ბებიები მართა, მაშო იუწყებიან, რომ 6/VI ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია
თენგიზ დავითის-ძე სალაყაიას
სამოქ. პანაშვიდი. 6545

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—1434